გაზეთი გაფრთხილების 1999 წლიდან

ქართველობის გადარჩენაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲚᲝᲠᲘ

E-mail: roland.jalagania@mail.ru

E-mail: r.jalagania@mail.ru

№394 (453) 17-24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2017 Წ. ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ „ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ“ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲤᲐᲡᲘ 50 ᲗᲔᲗᲠᲘ

ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲐᲓ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘᲗ ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲔᲜᲐ — ᲐᲙᲐᲙᲘ ᲨᲐᲜᲘᲫᲔ

SOS!!! 13 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ 11% ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲐᲡ ᲛᲝᲘᲮᲛᲐᲠᲡ

გვ.3

ᲰᲐᲛᲚᲔᲢ ᲭᲘᲞᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ

გვ.2

ᲐᲠᲪ ᲛᲘᲗᲕᲠᲐᲚ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲤᲮᲘᲖᲔᲚ

გვ.3

ᲡᲐᲜᲥᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲫᲘᲜᲔᲑᲘᲐ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ: ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛ�პᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲣᲢᲘᲜᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲓᲠᲝᲘᲜᲓᲔᲚ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ...

გვ.6

ᲙᲣᲙᲣᲠᲘ ᲤᲘᲤᲘᲐ 80 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

გვ.5

ᲚᲔᲠᲘ ᲐᲚᲘᲛᲝᲜᲐᲙᲘ: ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲛᲝᲡᲔᲛ

გვ.6

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲖᲔ

გვ.7

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲩᲔᲚᲔᲑᲐᲫᲔ: „ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲙᲣᲠᲘᲝᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲛᲐᲨᲐᲧᲘᲠᲔᲑᲔᲜ“

გვ.12

ᲚᲐᲕᲠᲔᲜᲢᲘ ᲑᲔᲠᲘᲐ — ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲘᲚᲓᲐᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲛᲘᲠᲘ

გვ.4

ᲡᲔᲠᲒᲘ ᲡᲐᲯᲐᲘᲐ: ᲐᲠᲐᲡᲐᲯᲐᲕᲝ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲚᲔᲕᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲯᲜᲐᲡᲗᲐᲜ

გვ.8

ილორი
ეროვნული გაზეთი

იაპონიაში პუტინის ვიზიტიდან გამომდინარე

პრემიერ-მინისტრი სინძო აბე გულმოდგინედ ისწორებს ჰალსტუხსა და პიჯაკს, შემდეგ მეუღლეს შეხედავს – მიანიშნებს კოსტიუმის შესწორებას. ორივეს გამომეტყველება შინაგანი დაძაბულობის გამომხატველია, ისეთის, საპატიო სტუმრის მოლოდინს რომ ახლავს თან. ცოლ-ქმარი იმდენად არიან საკუთარ თავთან ლაპარაკით გართულნი, ყურადღებასაც არ აქცევენ იქვე მყოფი ჟურნალისტების ფოტო და ვიდეო კამერების მუშაობას.

პროტოკოლისა და მომსახურე პერსონალის გამომეტყველებაც დაძაბულია. ისინი კიდევ ერთხელ ამოწმებენ მათ ირგვლივ მდებარე ტერიტორიას, ასწორებენ იატაკზე დაფენილ წითელ ნოხზე გადაფარებულ ცელოფანს, რომელსაც მაღალი სტუმრის ავტომანქანის მოახლოებასთან ერთად უმალ მოხსნიან.

პრემიერი აბე და მისი მეუღლე დანიშნულ დრომდე ადრე მოვიდნენ, რათა პასუხისმგებელი მასპინძლის თვალი გადაევლოთ იქაურობისთვის. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ისეთი სტუმრის მიღება, რომელსაც **„ძვირფასად“** მოიხსენიებენ.

პრემიერი აბე პირველად მასპინძლობს უცხო ქვეყნის მაღალ სტუმარს მშობლიურ ქალაქში. ასეთი პატივი ჯერ არავის რგებია. სასტუმრო, სადაც დახვედრის ცერემონიალია დაგეგმილი და სადაც მაღალმა სტუმარმა უნდა იცხოვროს – გამორჩეულია, ვინაიდან მასპინძლობდა იაპონიის იმპერატორს. სასტუმრო იმითაც არის გამორჩეული, რომ სააბაზანოში ცხელი გეოთერმული წყლებია – ქალაქ ნაგატოს ღირსშესანიშნაობა.

მაღალი სტუმარი რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინია – ჟურნალ **„ფორბსის“** მიერ დასახელებული წლის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე. პუტინის შემდეგ აშშ-ს არჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპია, მესამე, გერმანიის კანცლერინა ანგელა მერკელი. რაც შეეხება აშშ-ს წარმავალ პრეზიდენტ ბარაკ ობამას – 48-ე ადგილი არგუნეს, გაცილებით დაბალი, ვიდრე ჩრდილოეთ კორეის ლიდერს კიმ ჩენ ინს.

იაპონია **„დიდი რვიანის“** – ამჯერად **„შვიდეულის“** წევრია. რუსეთიც იყო, მაგრამ უკრაინის მოვლენებიდან გამომდინარე – უარი უთხრეს. ინიციატორი **„რვიანიდან“** რუსეთის დათხოვნისა აშშ-ს პრეზიდენტი გახლდათ. აშშ-ს კარნახით, უფრო სწორად ზეწოლით **„დიდი შვიდიანის“** ყველა წევრმა **„გააცივა“** რუსეთთან ურთიერთობა და სანქციებიც დაუწესა მას.

იაპონია ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც დადებითად გამოეხმაურა ობამას ინიციატივას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას ისე არ გაუმძაფრებია რუსეთთან ურთიერთობა, რომ უკან დასახევი გზა დაენგრია. იყო კრიტიკა, იყო ერთმანეთის კენწვლა, მაგრამ **„შენი დედაო“**, ისე, როგორც ქართული პოლიტიკა მიმართავს რუსეთს, ადგილი არ ჰქონია. არც ვინმეს უთქვამს **„პუტინი-ლილიპუტინი“**, ისე, როგორც პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

სააკაშვილის მდარე ლექსიკა მიუღებელია საერთაშორისო პოლიტიკაში, ისე, როგორც მისი ქცევა, მაგრამ გაცილებით მიუღებელია, როდესაც ქართული პოლიტიკის მხრიდან, ისე, როგორც საზოგადოების, კრიტიკული რეაქცია არ ჩანს. ქვეყნის მეთაურები ადამიანები არიან, მათზეც ისევე მოქმედებს დაცინვა, აბუჩად აგდება, როგორც ნებისმიერ ჩვენგანზე. ჩანს 25-წლიანი **„დამოუკიდებლობა“** საკმარისი არ არის იქაური ქუდის დახურვისთვის. არადა, ისე, როგორც იაპონიის პრემიერ აბეს, სააკაშვილსაც აქვს სათხოვარი (უფრო სწორად ჰქონდა) პუტინისთვის, მას ტერიტორიების დაბრუნება ჰქვია.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან და იაპონიის სრული კაპიტულაციიდან დაწყებული დღემდე, იაპონია დაჟინებით მოითხოვს კურილის კუნძულების დაბრუნებას. ეს, ის კუნძულებია, სსრკ ხელმძღვანელმა სტალინმა რომ დასავლეთის ფრონტზე გამარჯვების შემდეგ იაპონიის წინააღმდეგ ომის გაჩაღების საფასურად მოსთხოვა აშშ-ს მაშინდელ პრეზიდენტს რუზველტს.

„ჯერ კიდევ თეირანის კონფერენციაზე რუზველტმა სტალინის წინაშე დასვა საკითხი იაპონიის წინააღმდეგ ომში დახმარების თაობაზე. ნათელი გახდა, რომ მოკავშირეები მეორე ფრონტის გახსნას იაპონიის წინააღმდე საბჭოთა კავშირის მიერ ომის დაწყებას უკავშირებდნენ. თეირანში საერთო ურთიერთგაგება იქნა მიღწეული, მაგრამ ეს არ იყო შეთანხმება. თეირანში ამ საკითხზე პროტოკოლური ჩანაწერიც არ გაკეთებულა. საბოლოო სიტყვა მხარეებმა იალტაში თქვეს. მაშინ რუზველტმა წერილი გაუგზავნა სტალინს, სადაც აღნიშნული იყო, რომ იაპონიის მიერ ოკუპირებული სახალინის ნაწილი და კურილიის კუნძულები საბჭოთა კავშირს უნდა დაბრუნებოდა.

აი, რატომ გამოხატავდა სტალინი დიდ კმაყოფილებას რუზველტის წერილზე. წერილით ხელში მან რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, თითქოს არ სურდა წერილის ხელიდან გაშვება“, – წერს სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი გრომიკო თავის წიგნში.

გრამიკო იხსენებს, გამოძახებისთანავე როგორ შევიდა სტალინის ოთახში. **„მისალმებისთანავე სტალინმა გამომიწოდა ქაღალდის ფურცელი – ეს არის რუზველტის წერილი და მინდა, რომ თქვენ ზეპირად მითარგმნოთ, ვინაიდან სხდომის დაწყებამდე უნდა ვიცოდე წერილის შინაარსი. მე იმ წუთას ვუთარგმნე. სტალინმა რამდენჯერმე მთხოვა ამა თუ იმ ფრაზის ხელმეორედ თარგმნა. წერილი კურილის კუნძულებსა და სახალინს ეხებოდა. რუზველტი იტყობინებოდა აშშ-ს ხელისუფლების მხრიდან თანხმობას აღნიშნული ტერიტორიების საბჭოეთისთვის დაბრუნებაზე.**

როგორც ჩანს, აშშ-ს ხელისუფლება ცდილობდა ჩვენს თვალში მოეხდინა რეაბილიტაცია იმისა, თუ როგორ უჭერდა მხარს ის 1905 წელს იაპონიას პორტსმუტში. რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ იქ ადგილი ჰქონდა ორთა მოლაპარაკებას, მაშინ აშშ-მა მხარი იაპონიას დაუჭირა, რის შედეგადაც რუსეთს წაგლიჯეს ტერიტორიები.

წერილი მნიშვნელოვანია. აშშ-მა მხოლოდ ახლა აღიარა ჩვენი პოზიციების სისწორე კურილიის კუნძულებთან და სახალინთან დაკავშირებით. თავის მხრივ ამერიკელები დაბეჯითებით მოითხოვენ ჩვენგან იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩართვას! მაგრამ ეს სხვა საკითხია – თქვა სტალინმა.“

ასე და ამრიგად, საბჭოთა კავშირს დაუბრუნდა კურილის კუნძულები. იაპონია – უსიტყვო კაპიტულაციით დათანხმდა მეორე მსოფლიო ომის შედეგებს, მაგრამ შემდგომში ფართო კამპანია გააჩაღა დაკარგულის დასაბრუნებლად.

70 წელზე მეტი გრძელდება იაპონია-რუსეთის კამათი ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა უშედეგოდ. მხოლოდ 1956 წელს საბჭოეთის მაშინდელი ხელმძღვანელის ხრუშჩოვის ინიციატივით იაპონიას აღუთქვეს 2 კუნძულის დაბრუნება, რაზეც იაპონია დათანხმდა, მაგრამ აშშ-ს კატეგორიული თითის ქნევის შემდეგ, მან უარი თქვა მოსკოვის შეთავაზებაზე. იაპონიამ ყველა კუნძულის დაბრუნება მოითხოვა.

კუნძულების საკითხი კვლავ იდგა დღის წესრიგში პრეზიდენტ პუტინის ამჟამინდელი ვიზიტის დროს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ თემაზე გააგრძელებდნენ მოლაპარაკებას. მაგრამ ვიდრე ეს საკითხი გადაწყდება დაიწყებენ მჭიდრო ეკონომიკურ-საფინანსო თანამშრომლობას, რაც თავისთავად წაადგება პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას.

იაპონიის მაგალითი შემთხვევით არ მომიყვანია. ჩემის აზრით, პრემიერ-მინისტრის სინძო აბეს გულითადი მასპინძლობა აღმოსავლური დიპლომატიის კლასიკური მაგალითია. დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების მსურველი იაპონია გაბუტობანას კი არ თამაშობს, არც **„დიდი შვიდეულის“** წევრებს ხვეწა-მუდარით აწუხებს – დამეხმარეთო, თვით აპირებს საკითხის მოგვარებას და ამისთვის ისეთ ნაბიჯებს დგამს – პრაგმატული რომ ჰქვია.

იაპონიის პრემიერი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული აშშ-ს პრეზიდენტთან და ადმინისტრაციასთან და აშშ-ს ნამდვილი და არა ისეთი, როგორიც საქართველოა, სტრატეგიული პარტნიორია, არ ითვალისწინებს თეთრი სახლის კატეგორიულ მითითებას რუსეთის პრეზიდენტის იაპონიაში მიწვევასთან დაკავშირებით. პრეზიდენტმა ობამამ ლამის აუკრძალა იაპონიას პუტინის იაპონიაში მიწვევა.

ოფიციალური ვაშინგტონის ამგვარი ქმედება ბევრი რამით არის განპირობებული. მათში განსაკუთრებული ადგილი უკავია **„დიდი შვიდიანის“** მონოლითურობას. იაპონიის გადაწყვეტილებამ (პუტინის მიწვევასთან დაკავშირებით) წყალი შეუყენა **„შვიდიანს“**, მაგრამ თვით იაპონიას უდავოდ მომგებიანი ქულები შესძინა.

დიახ! სინძო აბემ – აშშ-ს სტრატეგიულმა პარტნიორმა, არ გაითვალისწინა აშშ-ს პრეზიდენტის ობამას მითითება და საკუთარი ქვეყნის ინტერესები მაღლა დააყენა. არის თუ არა ეს მაგალითი საქართველოს ხელისუფლებისთვის გასათვალისწინებელი? ჩემი სუბიექტური აზრით – არის!

იაპონია – მსოფლიოს მესამე ეკონომიკა, დიდი რევერანსით ხვდება რუსეთის პრეზიდენტს, ჩვენ კი ნაცვლად ამისა 25 წლის განმავლობაში ქოქოლას ვაყრით რუსეთს და მის პრეზიდენტს. განსაკუთრებულ სიძულვილს ვავლენთ დღევანდელის მიმართ. სხვას ვერაფერს ვიტყვით რუსეთის საელჩოს წინ გამართულ საპროტესტო მიტინგიდან გამომდინარე. მომიტინგეებმა რუსეთი ფაშისტურ სახელმწიფოდ მოიხსენიეს და მოითხოვეს რუსეთის აგრესიის სასწრაფო შეჩერება ალეპოში.

როგორც ჩანს, მომიტინგეებმა, ასევე საქართველოს პოლიტიკამ არ იცოდნენ, რომ ალეპოს აღება ასადის არმიის მიერ უკვე დასრულებული იყო. ისიც არ იცოდნენ, რომ სწორედ ასადის, რუსეთის და ირანის ძალისხმევით არა მარტო მოხუცები და ბავშვები გამოიყვანეს ტერორისტების მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან, არამედ თვით ტერორისტებსაც გაუხსნეს დერეფანი სამშვიდობოზე გასასვლელად.

მაგრამ სინამდვილე უდავოდ არ აწყობს აშშ-ს და ევროპას, რომლებმაც ვერაფერი გააკეთეს ტერორიზმთან ბრძოლაში. ისინი დამარცხდნენ და როგორც წაგებულები სიცრუეს ავრცელებენ რუსეთის ბარბაროსობასთან დაკავშირებით. თითქოს გული ეთუთქებათ უდანაშაულო ადამიანების სიკვდილზე. რა ცინიზმია ჩადებული იმ დასავლურ პროპაგანდაში, რომელმაც დემონსტრანტები გამოიყვანა ევროპის ქალაქებში, მათ შორის თბილისშიც მოწოდებით – **„შეწყდეს რუსეთის აგრესია.“**

არადა, სამხედრო ოპერაცია რახანია შეწყვეტილია. დასავლეთი აღნიშნული პროპაგანდით ცდილობს გადაფაროს საკუთარი მზაკვრული მოქმედება, რის შედეგადაც ხუთი წლის წინ გაჩაღდა ომი სირიაში. ქართველი მომიტინგეები, გარდა იმისა რომ შეცდომაში არიან შეყვანილი, არაფრად აგდებენ რუსეთის დაუმსახურებელ ლანძღვას. ასე ქართული საქმე არ გაკეთდება.

ჩვენ დღესაც დარწმუნებული ვართ, რომ დასავლეთის მხარდაჭერით დავიბრუნებთ დაკარგულს. ეს პროცედურა ასე გვესახება – საქართველო სთხოვს დასავლეთს დახმარებას – ყოველთვის და ყველა დონეზე და ისიც გაითვალისწინებს რა **„მედასავლეთე“** ქვეყნის თხოვნას, ცეცხლს ააგიზგიზებს და ისე გაავარვარებს მიწას რუსეთის ხელისუფალთა ფეხქვეშ, რომ იძულებულს გახდის დასავლეთის **„ბრძანება“** შეასრულოს.

მაინც რა პრიმიტიული აზროვნებაა?! და ამ პროცედურას ლამის 25 წლის განმავლობაში მივმართავთ, თანაც ერთი წუთითაც არ ვფიქრობთ შედეგზე. რა მოაქვს ასეთ თხოვნას? არც არაფერი, გარდა ტრაფარეტული წინადადებისა – **„ვაღიარებთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“**. როგორც ჩანს, ჩვენ და მათაც გვსიამოვნებს პოლიტიკური ონანიზმი, მაგრამ ის (ონანიზმი) რომ შთამომავლობას არ იძლევა?

ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, რომ დასავლეთს ფაქტიურად უნაყოფოდ ვთხოვთ შეუპოვარი მებრძოლის რანგში ჩვენს საერთაშორისო აღიარებას. ისინიც კმაყოფილები არიან, რომ სიტყვით მაინც აკმაყოფილებენ ჩვენს თხოვნას. ორივემ ვიცით, რომ თხოვნაც და დეკლარაციაც (საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებასთან დაკავშირებით) თავის მოტყუებაა, მაგრამ მეტი რა გზაა?

დასავლეთი, პატარა საქართველოსთვის თავს არ გასწირავს და რუსული დათვის ხახაში არ გადაეშვება. დასავლეთმა რუსეთს ვერ შებედა სირიასთან მიმართებაში და ჩვენთან მიმართებაში შებედავს? რასაც დასავლეთი ბედავს – პერმანენტული ცეცხლის აგიზგიზებაა – ისე, როგორც სირიაში, ერაყში, ავღანეთში, ლიბიაში, სხვაგან.

2008 წელს შეეცადა ის, ნაცადი სცენარი საქართველოსთვისაც მოერგო, მაგრამ რუსეთმა ივაჟკაცა და ხანგრძლივ დაპირისპირებაზე გათვლილი ომი 5 დღეში მოამთავრა. არადა, როგორ ნატრობდა ვაშინგტონი ხანგრძლივ ხანძარს – რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან? აქ ვერ შეძლო, მაგრამ უკრაინაში შეძლო. შედეგი? – დაქუცმაცებული, გავერანებული, კორუმპირებული, ნაცისტური უკრაინა.

წლების განმავლობაში აშშ-ის დირიჟორობით ადგილი აქვს სამხედრო ავანტიურიზმით წყლის ამღვრევას და ამღვრეულში თევზის ჭერას. როგორც არჩეული პრეზიდენტი ტრამპი აცხადებს – ბოლო წლების განმავლობაში აშშ-მა 6 ტრილიონი დოლარი დახარჯა ახლო აღმოსავლეთის რევოლუციებში. ძვირი ჯდება ავანტიურა, თუნდაც ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც აშშ-ია, ამიტომაც ტრამპის განმარტებით მისი პრეზიდენტობის დროს ფულის უყაირათო ფლანგვას ადგილი არ ექნება.

20 იანვრიდან (აშშ-ში პრეზიდენტის ინაუგურაცია) დაიწყება ახალი ერა, რომელიც საქართველოზეც იმოქმედებს. როგორც ჩანს ვაშინგტონისთვის პრიორიტეტულად აღარ ჩაითვლება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება, არც აღმოსავლეთ ევროპის ნატოს წევრი ბალტიის ზღვის ქვეყნებისთვის რევერანსული კოჭის გორება იქნება წახალისებული. აშშ-ს მომავალმა ადმინისტრაციამ გასაგებ ენაზე თქვა, რომ ნატოს წესდების მე-5 პუნქტი (ომის შემთხვევაში ყველა ერთისთვის) მიუღებელია, ვინაიდან ბალტიისპირა ქვეყნების ავანტიურისტულმა პოლიტიკამ აშშ-ი რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო კონფლიქტში შეიძლება გადაჩეხოს. მომავალ ადმინისტრაციას სურს რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბება და არა დაპირისპირება.

ნეტავი ისმენს ვინმე საქართველოს ხელისუფლებიდან იმ განცხადებებს, რომლებიც არჩეული პრეზიდენტის გუნდიდან გაისმის? და თუ ამ **„სასწაულს“** აქვს ადგილი, რატომ გაიძახიან – ნატო-ნატოო?

ტრამპი არა მარტო ნატოს, არამედ ევროკავშირსაც ალმაცერად უყურებს. და თუ ბოლტონი დაინიშნა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილედ, ევროკავშირის საქმეც ვერ იქნება ისეთი, როგორსაც ბრიუსელი ისურვებდა. ბოლტონი (აშშ-ს ყოფილი წარმომადგენელი გაეროში) ამრეზით უყურებს ევროკავშირს და მიიჩნევს, რომ ასეთი ორგანიზაცია არ უნდა არსებობდეს.

ძნელია გათვლა იმისა, ახდება თუ არა ბოლტონის სურვილი, მაგრამ ის, რომ ევროკავშირი და ნატო ისეთი არ იქნება, როგორიც დღესაა, ფაქტია. ასეთ ვითარებაში ევროკავშირისა და ნატოს ძახილი სრულიად მიუღებლად მიმაჩნია, ისე როგორც რუსეთისა და მისი პრეზიდენტის აუგად მოხსენიება. საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს პოლიტიკის შეცვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმ პოლიტიკურ სანაგვეზე გაიმყარებს ადგილს, სადაც რახანია ვართ.

ჰამლეტ ჯიპაშვილი,
პოლიტოლოგი

კიდევ ერთი უნიჭიერესი მხატვარი დაემშვიდობა ამქვეყნიურ ცხოვრებას და გადავიდა ზეციურ, მარადიულ სამყაროში. ზუგდიდის „სამხატვრო გალერეა“-ს თანამშრომლები და ზუგდიდელი მხატვრები მწუხარებას გამოთქვამენ საყვარელი პიროვნების, კეთილშობილი ადამიანის, ჩვენი ქალაქის კოლორიტის, ბატონ

რობერტ რაფავას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ ოჯახს. დმერთმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი, ბატონო რობერტ...

ᲐᲠᲪ ᲛᲗᲕᲠᲐᲚ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲤᲮᲘᲖᲔᲚ ᲡᲐᲜᲢᲔᲥᲜᲘᲙᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲫᲘᲜᲔᲑᲘᲐ

ქართველი ხელოვანები ყოველთვის შესანიშნავი იუმორის გრძნობით იყვნენ დაჯილდოებულები. ამ თვისების გამო სხვადასხვა კურიოზულ მდგომარეობაში არაერთხელ ჩავარდნილან.

დღევანდელ წერილში რამდენი ათეული წლით უკან მინდა რომ დავბრუნდე და ნაკლებად ცნობილი რამდენიმე სახალისო ისტორია გავიხსენო.

თავდაპირველად ცნობილი ქართველი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძის ერთ მოგონებას შემოგთავაზებთ.

„კომუნისტების დროს რომ ფილმს იღებდი, სცენარს „ზემოთ“ ამტკიცებდა მკაცრი ცენზურა. კანონით, რაც სცენარში არ იყო, ისეთ ეპიზოდს ვერ გადაიღებდი. გახსოვთ, ალბათ, „ჯარისკაცის მამის“ ეპიზოდი, როდესაც ქალები ხის ვარცლებში („ტაშტებში“), მდინარის პირას სარეცხს რეცხავენ. თავიდან ეს ეპიზოდი დამტკიცებულ სცენარში არ ყოფილა.

ჩვენ ჩავამატეთ და სპეციალურად, რამდენიმე ხის ვარცლიც დავამზადებინეთ. რუსთავში პატარა ეპიზოდი გვქონდა გადასაღები და ვიფიქრე, ბარემ ვარცლების ეპიზოდსაც აქვე, მტკვრის პირას გადავიღებთ-მეთქი, მაგრამ, როგორც კი გადასაღებად მოვემზადეთ, მოულოდნელად, ადგილობრივი პარტიული კომიტეტი და „კაგებე“ წამოგვადგა თავს. გვითხრეს, თქვენ, თურმე, „ტაშტების“ ეპიზოდს, უსანქციოდ იღებთ და გაგვარკვიეთ, რატომო. მაშინ ყველგან „კაგებეს“ ინფორმატორი იჯდა და როგორც ეტყობა, მან „ჩაგვიშვა“... ვარცლების გადამალვა მოვასწარით და ზემდგომები მშვიდობიანად გავისტუმრეთ. სანქცირებული ეპიზოდი გადავიღეთ და თბილისში ჩამოვედით. იგივე განმეორდა საქართველოს დედაქალაქში და ვერც აქ გადავიღეთ ვარცლები, რადგან აქაც „კაგებე“ და პარტიული კომიტეტი გამოგვეცხადა...

ეს ცნობილი ეპიზოდი, როგორც იქნა, რიგაში გადავიღეთ, მხოლოდ იქ ვერ მოგვწვდნენ, თუმცა ჩვენს „ტაშტებს“ საკმაოდ ბევრი სდიეს“.

ცნობილი ქართველი მსახიობი გია ფერაძე ერთხელ ერთ ბომონდურ სუფრაზე მოხვდა მოსკოვში. იქ ყველა ყველას იცნობდა, ერთმანეთს ნაძალადევი არისტოკრატული მანერებით მიმართავდნენ, სტუმარს კი ყურადღებას არ აქცევდნენ – გიას თავს აჩვენებდნენ, რომ, თითქოსდა, ძალიან განათლებულები იყვნენ და საუბარში მედიდურ ფრაზებსაც გამოურევდნენ ხოლმე... გია ფერაძე რის გია ფერაძე იქნებოდა, რომ სიტუაცია არ **„ეჩიჩმა“**. გიამ შამპანური დაისხა, ფეხზე წამოდგა და აყაყანებულ ბომონდს მიმართა:

– ვხედავ, რომ ძალიან ღირსეული, განათლებული ხალხი ხართ აქ შეკრებილი და შეიძლება, სამიოდე კითხვა დაგისვათ?

– გვკითხე, – ერთხმად, ფამილარულად მიუგო **„ბომონდმა“ „პროვინციელს“**.

– რა ერქვა კარლ მარქსის მამას? – იკითხა გიამ და ორ დუჟინ **„განათლებულებში“** ერთმაც არ იცოდა პასუხი...

– ჰაინრიხი! – თქვა ფერაძემ და იქვე დაამატა:

– ვინ დაწერა სიმღერა **„პოდმოსკოვნიე ვეჩერა“**?

ბომონდი კვლავ დუმდა.

– ვასილ პავლოვიჩ სოლოვიოვ-სედოიმ, – გაანათლა ქართველმა **„პროვინციელმა“ „ბომონდი“** და მესამე კითხვაზე გადავიდა:

– რა უფრო კარგია სასუქად – ჩიტის სკინტლი თუ საქონლის ფუნა?

– ფუნა! ფუნა! – ერთმანეთს ასწრებდა პასუხს აყაყანებული **„ბომონდი“**.

გია ფერაძემ ხელის აწევით გააჩერა **„განათლებულები“** და თქვა:

– პოლიტიკა თქვენ არ გესმით, არც ხელოვნება, ფუნასა და ქაქში კი კარგად ხართ გათვითცნობიერებულები. თქვენს განათლებას გაუმარჯოს! – გიამ ბოკალი ბოლომდე გამოცალა და ამაყად დატოვა სუფრა.

გია დანელია რომ თავის ცნობილ კომედიას, **„აფონიას“** იღებდა, რომელიც ლოთ სანტექნიკოსზეა და ჩანაფიქრის მიხედვით, ლოთობაზე სატირა უნდა ყოფილიყო, სამი ცნობილი მსახიობი შეარჩია მთავარ როლზე: პოლონელი დანიელ ოლბრიხსკი, საყოველთაოდ ცნობილი ვლადიმირ ვისოცკი და ლეონიდ კურავლიოვი. სამივე ერთმანეთისგან ისე რადიკალურად განსხვავდებოდა, სამი ფილმი რომ გადაღებულიყო, სამივე ერთმანეთისგან განსხვავებული სურათი გამოვიდოდა. საბოლოო ჯამში, არჩევანი კურავლიოვზე შეჩერდა და ფილმმაც გაამართლა. სატირული პერსონაჟი კი, საკმაოდ მომხიბვლელი გამოვიდა და აფონია სიბრალულსა და აქედან გამომდინარე, სიმპათიებსაც კი იმსახურებდა მაყურებლებში. თუმცა, ასე არ ფიქრობდნენ ლოთი კაცების აღშფოთებული ცოლები. მათგან **„მოსფილმში“**, დანელიას სახელზე ათასობით წერილი მოდიოდა.

დანელია იხსენებს:

„განსაკუთრებით ერთი ქალის წერილი დამამახსოვრდა, რომელიც აღშფოთებული მწერდა: „ამხანაგო რეჟისორო, ასეთი მომხიბვლელი ლოთი სანტექნიკოსის სახე რომ შექმენით, გძინებიათ კი ოდესმე, მთვრალ სანტექნიკოსთან?..“

საპასუხო წერილში მივწერე: **„არც მთვრალთან და არც ფხიზელ სანტექნიკოსთან არ მძინებია-მეთქი“.**

ცნობილი რეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი ასეთ ისტორიას იხსენებდა:

„მოსკოვში სწავლისას ჩემთან ერთად ოთახში ერთი შავკანიანი ბიჭი ცხოვრობდა, რომელიც პატარა აფრიკული ქვეყნიდან იყო და აბადუ ერქვა. სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლობდა და ისე ძლიერ უნდოდა ამ პროფესიას დაუფლებოდა, დღე და ღამე მეცადინეობდა, თავისუფალი დრო, პრაქტიკულად, არ ჰქონდა. ყურმოკვრით ვიცოდი, რომ დიდგვაროვნის შთამომავალი იყო, მაგრამ რა რანგის, წარმოდგენა არ მქონდა და ვერც ვიხელთებდი სალაპარაკოდ, რომ ყველაფერი დაწვრილებით გამომეკითხა. ერთ დღეს შევდივარ ოთახში და რას ვხედავ: აბადუ საწოლზე ზის და მწარედ ტირის... თავდაპირველად მეგონა, რეპეტიციას გადიოდა, მაგრამ ტირილი რომ გაუგრძელდა, ვკითხე:

– რა გჭირს, აბადუ, ასე მწარედ რატომ ტირი-მეთქი...

– 83 წლის მამა გარდამეცვალა, – სლოკინით მომიგო აბადუმ.

მე მივუსამძიმრე და ვუთხარი:

– რას იზამ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ღმერთმა აცხონოს მამაშენი.

ჩემს სიტყვებზე აბადუ უფრო მეტად ატირდა და იმეორებდა:

– ნეტავ, არ მომკვდარიყო. წავალ და ვედარ ჩამოვალ. მე კი მსახიობობა მინდა.

– ჩამოხვალ, ნუ დარდობ. დაასაფლავებ მამაშენს და უკან დაბრუნდები. ნეტავ, მის ასაკამდე ყველას მიგვაღწევინა. გულს ნუ იკლავ. ძალიან ემოციური ხარ და შენგან კარგი მსახიობი დადგება-მეთქი, – დავუყვავე მტირალ აბადუს. მან კი ტირილი შეწყვიტა და მითხრა:

– მამაჩემი მეფე იყო. მე მისი მემკვიდრე ვარ და ხალხი მოითხოვს, მისი ტახტი დავიკავო, მერე ვერც აქ ჩამოვალ და ვერც მსახიობი გავხდები...

მწარედ აქვითინებული აბადუ ორიოდე დღეში თავის სამშობლოში მეფე აბადუ მესამედ აკურთხეს. როგორი მმართველი იყო ვერ გეტყვით, მაგრამ მისგან ურიგო მსახიობი არ გამოვიდოდა. თუმცა, ვინ იცის, შეიძლება, გამოადგა კიდეც მსახიობობის ნიჭი.

ᲡᲐᲜᲢᲘᲐᲒᲝ ᲒᲐᲣᲩᲝ

13 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ 11% ᲛᲐᲠᲘᲮᲣᲐᲜᲐᲡ ᲛᲝᲘᲮᲛᲐᲠᲡ

„მარიხუანა ისეთი ნარკოტიკული საშუალებაა, რომელიც ფსიქიკურ აშლილობას იწვევს!“

„საქართველოში მარიხუანას მოხმარება 13 წლამდე ბავშვებში 11%-ს აღემატება“, – ასეთია კვლევის შედეგი, რომელიც არცთუ შორეულ წარსულში გამოქვეყნდა და წესით, ცალკეული ჯგუფებისა თუ პირებისთვის ეს სიგნალი უნდა გახდეს. რამდენად სწორია მარიხუანას დეკრიმინალიზაციაზე საუბარი და თავგამოდებული ბრძოლა **„სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად“,** ამაზე დავას ახლა ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ სანამ ვიღაცები მსგავს თემებზე ალაპარაკდებიან, იქნებ, სტატისტიკასა და კვლევებს გადახედონ და გულწრფელად უპასუხონ კითხვას – რამდენადაა საზოგადოება მზად, განსაკუთრებით კი მოზარდები, გაუძლონ ცდუნებას და არ მიეკარონ თუნდაც მსუბუქ, მაგრამ მაინც ნარკოტიკს?

„მარიხუანას ლეგალიზაციასთან ერთად მოიმატებს მომხმარებლის რაოდენობაც“, – აცხადებს ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ხელმძღვანელი ლაშა კილაძე და დასძენს, რომ **„მარიხუანა ისეთი ნარკოტიკული საშუალებაა, რომელიც ფსიქიკურ აშლილობასა და დამოკიდებულებას იწვევს. ამიტომ, კანონის მიღების დროს უნდა შეფასდეს რისკები. მარიხუანას მოხმარებისთვის ადამიანები ციხეში არ უნდა ხვდებოდნენ, მაგრამ არც პედესტალზე უნდა აგვყავდეს და ტაშს ვუკრავდეთ“.**

გასაგებია, რომ იმასთან დაკავშირებით, ნარკოდამოკიდებული ავადმყოფია თუ კრიმინალი, ერთი აზრი დღემდე არ არსებობს და რაც უნდა მაღალფარდოვანი სამედიცინო არგუმენტები მოვიშველიოთ, საბოლოოდ მაინც ყველა თავის აზრზე რჩება; ისიც გასაგებია, რომ მსუბუქი **„უწყინარი“** ნარკოტიკული თრობის გამო ციხეში არ უნდა სვამდნენ, მაგრამ ამ მედალს ორი კი არა, თამამად შეიძლება ითქვას, რამდენიმე მხარე აქვს და არც ეს საკითხია მარტივად გადასაწყვეტი.

კი ბატონო, გამოვა ვიღაც, დათესავს პირდაპირ ეთერში **„პლანს“** და რა, მერე – გაგვაფრთხილებს, ბავშვები ტელევიზორს მოარიდეთო? ჩაითვლება თუ არა ეს პროპაგანდად და რა რეაქცია ექნებათ 10-13 წლის მოზარდებს?

„საკანონმდებლო ლიბერალიზაციის დროს, მოსახლეობა არ უნდა დარჩეს შეუიარაღებელი და აგრესიული პროპაგანდის პირისპირ, – აღნიშნავს ლაშა კილაძე **და დროული პრევენციული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზეც საუბრობს, – ქვეყანამ დროულად უნდა მოახდინოს პრევენცია, თუ უკვე დაგვიანებული არ არის. გვქონდა ევროსაბჭოსთან არსებულ პრევენციის ჯგუფებთან მჭიდრო თანამშრომლობა, სადაც განხილული იყო რამდენიმე მოდელი, მათ შორის ექსპერტები მუშაობენ ლიბერალიზაციის საფუძვლებზე. ჯერჯერობით კაცობრიობამ იდეალური სისტემა ვერ მოიფიქრა და ვერ შექმნა. სისტემა უნდა იყოს დინამიური და განვითარებადი. დღევანდელი ნარკოპოლიტიკა მნიშვნელოვან გადახედვას საჭიროებს“.**

დიდი კანონმდებლების საქმეში ჩარევას ნამდვილად არ ვაპირებ, მაგრამ მარიხუანას დეკრიმინალიზაციას გარკვეული რისკებიც რომ ახლავს, წესით, ეს მსჯელობისა თუ განხილვის საგანი არც უნდა ხდებოდეს.

„იმ ფონზე, თუ მოხმარება დაკავშირებული არაა საზოგადოებრივ რისკებთან, ან სოციალურად საშიშ მდგომარეობასთან, კრიმინალური წესით არ უნდა ისჯებოდეს, მაგრამ ყველა ამგვარ პროცესს თანმდევი რისკები ახლავს. ამ რისკების ცოდნა, მათზე აქცენტირება და პრევენცირება აუცილებელია, – ასეთია ლაშა კილაძის კომენტარი, რომელიც ყურადღებას ერთ ფაქტორზეც ამახვილებს, – **გაიზრდება ზიანი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ნარკოტიკული საშუალება ადამიანს აყენებს და ეს პრობლემა ლიბერალიზაციის ფონზე აუცილებლად დადგება. მაგალითად, ვსაუბრობთ მარიხუანას მოხმარების ლიბერალიზაციაზე. ძალიან მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ მოხმარება გაიზრდება. შესაბამისად, გაიზრდება ის ზიანი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ნარკოტიკი ტეტრაჰიდროკანაბოილი აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას. მიმაჩნია, რომ ეს პროცესი შრომატევადი და რთულია. პირველ რიგში, სჭირდება განათლება. სერიოზული საგანმანათლებლო და პრევენციული კამპანია, დაწყებული, ალბათ, საბავშვო ბაღის დონეზე; ამას სჭირდება სერიოზულად განვითარებული სამედიცინო ინფრასტრუქტურის ქსელი; კარგად მომზადებული სპეციალისტები, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ დაუძლეველი პრობლემაა“.**

გასაგებია, რომ გამოსავალი ყველა მდგომარეობიდან არსებობს, მაგრამ სანამ აქცია აქციაზე იმართება მარიხუანას დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით, ვიღაცები ასეთ საკითხებს პოლიტიკური სპეკულირების საგნად იყენებენ, სხვანი კი მშვენივრად სარგებლობენ ამ დიდი ნარკოტიკული ბაკქანალიით, იქნებ კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, რას ვითხოვთ იმ ფონზე, როცა 13 წლამდე ბავშვებში მარიხუანას მოხმარების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება?! ნამდვილად გვინდა **„დაბოლილი“** თაობების აღზრდა თუ ვიღაცები, უბრალოდ, საკუთარი დამოკიდებულების **„გაპრავებას“** ცდილობენ?! გულწრფელად ვადიაროთ – ვისაც მარიხუანას მოწევა უნდა, ისედაც ეწევა, არც მისი **„შოვნის“** პრობლემა აქვს და გაუგებარია, ვის და რაში სჭირდება ამ **„საჭირბოროტო თემის“** პროპაგანდა? ისიც ფაქტია, რომ **„დაბოლილი“** საზოგადოება ადვილად სამართავია. ჰოდა ამ ფონზე დასკვნის გამოტანა – რას მოგვიტანს კანონის ლიბერალიზაცია – რთული, წესით, არავისთვის უნდა იყოს.

ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი

გაზეთი "ილორი" თითქმის სამი წლის განმავლობაში ბეჭდავდა ნაწყვეტებს ცნობილი რუსი პუბლიცისტის სერგეი კრემლიოვის (ბრეზკუნი) ნაწარმოებიდან "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი", რომელიც ვთარგმნე პირადად მე. ნაწარმოებმა მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რის შედეგადაც გადაწყდა მისი ოთხ ტომად გამოცემა.

რამდენი წიგნიც არ უნდა გამოიცეს მეოცე საუკუნის ამ მართლაც ტიტანური შესაძლებლობების მქონე პიროვნებაზე, ყოველ მათგანში ზუსტად არ იქნება გადმოცემული მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები, რადგან დასავლეთის უდიდესმა სადაზვერვო სამსახურებმა საბჭოთა უმაღლეს ეშელონებში მოკალათებული გავლენის აგენტების დახმარებით იმდენად გასაიდუმლოებულ ვითარებაში ჩაატარეს ბერიას ლიკვიდაციის ოპერაცია, რომ, როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირის ისტორიის ამ ავბედითი ეტაპს სრულყოფილად და ფაქტების დაუმახინჯებლად ვერასოდეს გაეცნობა დაინტერესებული საზოგადოება.

ამას წინათ ჩემი სიყმაწვილის მეგობარმა და გაზეთის დიდმა გულშემატკივარმა ბატონმა ოთარ ჭითანავამ, რომელმაც ადრე მომაწოდა უაღრესად საინტერესო მასალები დიდ ქართველ პატრიოტზე გვანჯი ჩიქოვანზე, მისახსოვრა რუსი მწერლის ევგენი ტოლსტიხის მიერ შექმნილი ნაწარმოები – "ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი". ვითვალისწინებთ რა საზოგადოების დიდ ინტერესს ამ მართლაც გენიალური სახელმწიფო მოღვაწის მიმართ, ვიწყებთ ნაწყვეტების ბეჭდვას აღნიშნული ნაწარმოებიდან, რომელიც შემდგომში გამოიცემა ცალკე წიგნად.

როლანდ ჯალაღანია

რუსეთის ფედერალური სამსახურის 2006 წლის პრემიის ლაურეატმა ლიტერატურის დარგში, რუსეთის მწერალთა კავშირის წევრმა ევგენი ტოლსტიხმა შექმნა არაჩვეულებრივი ნაწარმოები ჩვეულებრივ საბჭოთა გმირზე. ლავრენტი ბერიას ბედი მსგავსია მრავალი რუსი პატრიოტის ბედისა, რომელთაც პროფესიული სამსახურის ვალდებულებათა გამო სამშობლოს შესწირეს არა მხოლოდ სიცოცხლე, არამედ სიკვდილის შემდეგაც შეელივნენ ყველაზე სანუკვარს – კეთილშობილი გმირის სახელს.

ბერიამ იხსნა ჩვენი სამშობლო ფაშისტი აგრესორებისაგან დიდ სამამულო ომში და ამერიკელთა ბირთვული შემოტევისაგან 40-იანი წლების მიწურულს და 50-იანი წლების დასაწყისში, სამაგიეროდ კი მიიღო მხოლოდ ცილისწამება და ყალბი ბრალდება. ქვეყნის უმაღლეს პარტიულ ელიტაში მოკალათებულმა მტრებმა ისიც კი ვერ გაბედეს, რომ ღია სასამართლო პროცესზე გაესამართლებინათ ბერია – ისევე ღიად, როგორც ბერია ასამართლებდა ქვეყნის მტრებს ომისწინა პერიოდში. ბერია მოკლეს დაპატიმრებისას – გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე, მერე კი მოახდინეს გამოძიების, სასამართლოსა და დახვრეტის ინსცენირება.

საინტერესოა, როგორი იყო 30-იანი წლების პოლიტიკური საგამოძიებო ორგანოს თავკაცი, სამამულო ომის დროს ფაბრიკა-ქარხნების ევაკუაციის ხელმძღვანელი სასტიკ 1941-ში, საბჭოთა ატომური ბომბისა და ბალისტიკური რაკეტების შექმნის ორგანიზატორი ომისშემდგომ პერიოდში? დოკუმენტებზე, დღიურებზე, ფოტომასალებსა და მემუარებზე დაყრდნობით ტოლსტიხმა შექმნა რუსეთის დიდი პატრიოტის ლავრენტი ბერიას პორტრეტი, ჩვენი სამშობლოს XX საუკუნის სისხლიანი და დიდებული ისტორიის ფონზე,

წინასიტყვაობის ნაცვლად

"სამყარო ასეა მოწყობილი: დიდებული ეპოქა დიდებულ ადამიანებს ქმნის. დიდებული ადამიანები კი იშვიათად ჩნდებიან მარტონი" – შენიშნა ვიქტორ ჰიუგომ. მივიღოთ ეს აზრი როგორც აქსიომა, და დავამატოთ, რომ ჩვენი სამშობლოს ბიოგრაფიაში სტალინის ეპოქა ჭეშმარიტად დიდებულია. ამასთან, ეს აზრი განმტკიცებულია არა ვიღაც უფერულ სტატისტიკოსთა ჩანაწერებით, რომლებიც მარჯვნივ და მარცხნივ უხვად არიგებენ იარლიყებს, ჩამოყალიბებული კონიუნქტურის შესაბამისად, არამედ თვით ვეებერთელა ტერიტორიის არსებობით, რომლის საფუძველიც გახლავთ სტალინის მიერ ჩამოყალიბებული მძლავრი სახელმწიფო, რომელმაც საშუალება მისცა რუს ხალხს დაეკავებინა ღირსეული ადგილი მზიან ცისქვეშეთში, ყველაფრისა და ყოველივეს მიუხედავად!

სტალინის **"შემოქმედებით მარტოობას"** დაახლოებით ორი ათეული ურთულესი წლის განმავლობაში იზიარებდა ადამიანი, რომლის სახელიც შეტანილი უნდა იქნეს ათასწლოვანი სახელმწიფოს დიდების პანთეონში.

ჩვენ ვლაპარაკობთ **ლავრენტი პავლეს ძე ბერიას** თაობაზე.

ალბათ მოიძებნებიან ვიღაცეები, შიშმოძალებულნი შუბლშეჭმუხვნით რომ წამოიყვირებენ: თქვენ ამას ბერიაზე ამბობთ?.. როგორ შეიძლება?.. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, იგი ხომ არ არის ერთმნიშვნელოვანი ფიგურა!.. ეს წიგნი კი შეიძლება ხელში ჩაუვარდეს ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული შემეცნებითად!..

სწორედ ეს მსურს მე, დიდებულ ადამიანზე – ლავრენტი ბერიაზე გამოკვლევის ჩამტარებელს! ქვეყანაში, სადაც კატასტროფულად ეცემა მკითხველთა რიცხვი (შეიხედეთ წიგნის მაღაზიებსა და ბიბლიოთეკებში), აუცილებელია ახალგაზრდებში ჯერ გავაღვივოთ ცნობისმოყვარეობა, შემდეგ კი ჯანსაღი ინტერესი იმ პიროვნების მიმართ, რომლითაც აშინებენ ჯერ ბავშვებს, შემდეგ სტუდენტებს, რომელთაც უყვებიან შეთხზულ ფაქტებს ბერიაზე და მალავენ რეალურ ამბებს. ამიტომ არის აუცილებელი ხშირად შევახსენოთ საზოგადოებას იმ ადამიანის სახელი, ვინც დიდება მოუტანა ჩვენს ქვეყანას – **ლავრენტი ბერია**.

მაგრამ, ბედი არ გინდა? ყველა გმირის ჩრდილს შეფარულია მისი ანტიპოდი, რომელიც ადრე თუ გვიან აცხადებს პრეტენზიას იმ გმირობაზე, რომელიც მას არ ჩაუდენია. და თუ ვერ ხერხდება სხვის პედესტალზე აცოცება, რა შეიძლება მოიფიქროს არამზადამ – მხოლოდ მისთვის მიუწვდომელი მონუმენტის დანგრევა, იმ გმირის ხსოვნასთან ერთად, რომლის საპატივცემულოდაც იქნა იგი აგებული.

ავსტრიელმა გენერალმა მორიც ფონ აუფენბერგმა (1911-1912 წლებში ასრულებდა ავსტრო-უნგრეთის სამხედრო მინისტრის მოვალეობას) თავისი კარიერის დასასრულს წარმოთქვა შესანიშნავი ფრაზა: **"თუ ლილიპუტი მოახერხებს გოლიათის მხრებზე აძრომას, იგი დაიწყებს ტრაბახს, რომ იგი ამ გოლიათზე დიდია"**.

თავისი წიგნის წინასიტყვაობაში: **"ანტისტალინური ნაძირალობები" ამერიკელი სწავლული გ. ფერი წერს: "დახურული წერილის" ყველა მტკიცებულება (სკკპ XX ყრილობაზე ნ. ხრუშჩოვის მიერ გაჟღერებული), რომელიც სტალინისა და ბერიას მავნებლური საქმიანობის გამჟღავნებას ეხებოდა, გაჯერებული იყო მხოლოდ სიცრუით და ვერცერთი კონკრეტული მტკიცებულება ვერ იქნა მოყვანილი. მთელი ეს "დახურული წერილი" მხოლოდ სიცრუის კასკადს წარმოადგენდა და ფაქტები იმდენად იყო აღრეული ერთმანეთში, რომ მისი გადამოწმებაც კი არ მოხერხდებოდა..."**

მაგრამ ეს მოხსენება მთელი რიგი "შრომების" საფუძვლად და "დოკუმენტურ წყაროდ" იქცა, რომლებიც თითქოს ფარდას ხდიდნენ საბჭოთა ისტორიის საიდუმლოებებს!

1991 წელს (მართლაც რომ დროულად!) გამომცემლობა "პაქსნიექსმა" დასტამბა რობერტ კონკვესტის ორტომეული სათაურით "დიდი ტერორი". საავტორო ანოტაცია გვაუწყებდა, რომ: "წიგნი ეძღვნება შინაგან ლოგიკასა და სტალინის მიერ 20-30-იან წლებში მოწყობილი მასშტაბური ტერორის მიზეზების გამოკვლევას, რომლის საფუძველს წარმოადგენენ უამრავი დაბეჭდილი მასალა, საბჭოთა სახელმწიფოსა და სსრკ კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილი დოკუმენტები, საბჭოთა ჟურნალ-გაზეთები, სხვადასხვა ადამიანების მოგონებები, ისტორიკოსთა მიერ დაწერილი წიგნები".

გასაგებია, რომ პროცესთა ანალიზი და ციფრები, რომლებიც წარმოგვიდგენენ "სტალინური უსამართლობის მასშტაბებს", მთლიანად პასუხობდა დიდი ბრიტანეთის დაზვერვის ინტერესებს, ვისთვისაც, როგორც შემდეგ გაირკვა, თურმე შრომობდა ეს ავტორი.

ამერიკელი ისტორიკოსი, მონკლერის უნივერსიტეტის პროფესორი გროვერ ფერი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ამტკიცებდა: "უნდა ითქვას, რომ... მე გულდასმით გადავიკითხე რობერტ კონკვესტის ნაწარმოები, რაც ალბათ დღემდე არავის გაუკეთებია. მაშინვე გახდა ნათელი, რომ "დიდი ტერორის" დამადასტურებელი ისტორიული ფაქტები ავტორს თაღლითურად აქვს დალაგებული. მის მიერ გაკეთებული დასკვნები კატეგორიულად არ მიესადაგებიან იმ მტკიცებულებებს, რომელიც კონკვისტს მოჰყავს "დიდი ტერორის" დასადასტურებლად. მთლიანობაში კი წყაროები გამოყენებულია სტალინისადმი მტრული დამოკიდებულების კუთხით და ავტორს სრულადაც არ უზრუნვია მათი ჭეშმარიტების დადგენაზე.

ამიტომაც დამებადა "დიდ ტერორზე" საკუთარი მოკვლევის ჩატარების იდეა. ამ სამუშაომ დიდი დრო მოითხოვა. პირველი სტატია სათაურით: "ახალი სახით წარმოდგენილი ძველი ისტორიები მარშალ ტუხაჩევსკის თაობაზე" გამოქვეყნდა 1998 წელს... იგი დაემთხვა ახალი ისტორიული სკოლის ჩამოყალიბების პერიოდს.

ეს სკოლა წარმოიქმნა როგორც კონკვისტის ტოტალიტარული სოვეტოლოგიის "ცივი ომისდროინდელი" კონცეფციის ანტითეზა. ამ სკოლამ შეინარჩუნა ობიექტურობა და დაამტკიცა საბჭოური წარსულის ტროცკისტების, ხრუშჩოვის და გორბაჩოვ-ელცინისეული ინტერპრეტაციების უსუსურობა.

ამ უკანასკნელებმა იმდენად ათხვარეს საკუთარი სახელები ლაფში პოლიტიკური არაჯანსაღი ინტერესების გამომჟღავნებით, რომ მათი ნაცოდვილარი პოლიტიკური პროპაგანდის ნიმუში უფროა, ვიდრე ისტორიული თხზულება.

სამეცნიერო წრეებში ნამდვილ სენსაციად იქცა წიგნი "დიდი წმენდის სათავეები", რომლის ავტორი გახლავთ ახალი სკოლის წარმომადგენელი ჯ. გეტი, რომელშიც ავტორმა ამხილა უამრავი მითი და მოარული ხმები იმის თაობაზე, რომ 1930-იანი წლების რეპრესიები, როგორც აქცია, დიდი ხნის წინ იყო დაგეგმილი სტალინის მიერ.

მეცნიერის დიდი უბედურება მდგომარეობდა იმაში, რომ წიგნი გამოვიდა "პერესტროიკის" წლებში, როცა ტრიბუნა ძირითადად ეთმობოდა მის ოპონენტებს. რა უნდა სცოდნოდა რუს მკითხველს გეტის წიგნის თაობაზე, თუ იგი არასოდეს გამოცემულა რუსეთში?"

თუ კონკვისტმა თავისი ნაშრომი **"დროულად"** გამოაქვეყნა, ჯ. გეტის პერიოდის ისტორიკოს ექსპერტთა ნამუშევრები **"უდროვო"** გახლდათ **"ახალი"** რუსეთისათვის.

ცნობილი ამერიკელი სწავლულის ფერის მამხილებელი აღიარება გავამდიდროთ იმის მაგალითებით, თუ ჩვენი სამამულო ისტორიული **"სკოლა"** როგორი მონდომებით ემსახურებოდა სსრკ-რუსეთის ელიტის ხშირად ცვლად პოლიტიკურ მიდრეკილებებს.

1972 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის პროფესორი, ავტორი წიგნისა "1930-1934 წლების შიმშილი საბჭოთა კავშირში" ნ.ა. ივნიცკი წერდა:

"საბჭოთა ხალხის ერთ-ერთი გმირული ქმნილება, რომელიც თავისი მნიშვნელობით შეიძლება გავუტოლოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, გახლავთ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და მის საფუძველზე უკანასკნელი ექსპლუატორული კლასის – კულაკობის ლიკვიდაცია. ფორმებისა და მეთოდების სიღრმისეულობით, მასშტაბებით და შედეგებით სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია შეიძლება მიჩნეული იქნას მსხვილ რევოლუციურ გარდაქმნად."

(ნ.ა. ივნიცკი, "კლასობრივი ბრძოლა სოფლად და კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია", 1972)

და, აი, როგორ აფასებდა იმავე ისტორიულ პერიოდს ბატონი პროფესორი 2000 წელს:

"საბჭოთა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია გახლდათ XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია. სტალინიზმის მიერ დეფორმირებულმა კოლექტივიზაციამ ხალხს მოუტანა ტანჯვა-წამება და რეპრესიები. კოლექტივიზაცია და "კულაკობის, როგორც კლასის განადგურება" ნიშნავდა ერთ მილიონამდე გლეხის ოჯახის ექსპროპრიაციას (დაახლოებით 5-6 მილიონი ადამიანი), დაახლოებით ორ მილიონამდე ადამიანის დეპორტაციას ჩრდილოეთის ნაკლებადდასახლებულ რეგიონებში, ასიათასობით უდანაშაულო ადამიანის დაღუპვას და, საბოლოო ჯამში, საძირკვლამდე დანგრეულ სოფლის მეურნეობას".

(ნ.ა. ივნიცკი, "საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკა სოფელში (1928-1933 წლები)", 2000).

საჭიროა კომენტარები?

ისტორიული მეხსიერებით მანიპულირება პოლიტიკური მიზნის მიღწევის ეფექტური ინსტრუმენტი გახლავთ. იდეოლოგიურ შტატებში შექმნილ გარკვეულ ჯგუფებსა და კორპორაციებს, ფსევდომეცნიერულ ნაჭუჭში მოქცეული ისტორიული მითების საზოგადოებრივ შეგნებაზე თავსმოხვევით, საკმაოდ წარმატებით შეუძლიათ საზოგადოებრივი განწყობისათვის ხშირად მათი ნების საწინააღმდეგო მიმართულების მიცემა და მილიონობით ადამიანის იმ ნორმებითა და წესებით დაინტერესება, რომელიც ეწინააღმდეგება მათ ცხოვრებისეულ ინტერესებს. ამას კი მივყავართ არა მხოლოდ ეროვნული და სოციოკულტურული ფესვების, არამედ სუვერენიტეტის დაკარგვამდეც კი. რუსეთის ისტორია სავსეა ამგვარი მაგალითებით, რომლის ქსოვილიც მოწნულია სიცრუითა და ფალსიფიკაციით.

რა იცის რუსეთის საშუალო სტატისტიკურმა მოქალაქემ, დავუშვათ, **ივანე IV**-ს შესახებ? რა თქმა უნდა ის, რომ იგი, უპირველესად იყო მხეცი, რომელმაც მრისხანებისას მოკლა თავისი პირმშო, გააჩაღა თავისი ხალხისა და მისი ელიტის ტერორი.

ცრუდიმიტრი? ესაა პოლონელი მაგნატების მიერ რუსეთის სათავეში დასმული თვითმარქვია, მარინა მნიშეკის საყვარელი, რომელიც ხალხმრავალ ღრეობებს აწყობდა კრემლში, ვიდრე სახალხო მღელვარებამ არ გადაცოცხა რუსეთის მიწიდან.

ვინ იყო იმპერატორი **პავლე პირველი**? მახინჯი, რომელიც პრუსიული მეთოდებით წვრთნიდა რუს ოფიცერთა კორპუსს.

ხელმწიფე ნიკოლაი პეტროვიჩი? ევროპის ჟანდარმი, თავისუფლების მახრჩობელა ყულფი, **"დეკაბრისტების"** ჯალათი, მეტსახელით **"პალკინი"** (ჯოხაძე).

და შეეცადეთ დააჯეროთ თანამოსაუბრე, რომ ეს მცდარი წარმოდგენაა!

რომ **ივანე IV** იყო პირველი რუსი **მეფე** (მანამდე რუსეთს მართავდნენ დიდი თავადები), რომელმაც სათავე დაუდო იმპერიის ჩამოყალიბებას. რომ ხმები პირმშოს მკვლელობის თაობაზე გავრცელებულია ვატიკანელი ჯაშუშის, პაპის ლეგატის (ნუნციის) პოსევინოს მიერ, რომ ივანეს მეფობისას სიკვდილით დაისაჯა სულ 4 ათასამდე ადამიანი (ძირითადად მკვლელები, ქურდები, მძარცველები), მაშინ, როცა **"განათლებულ ევროპაში"** ღღედაღამ გიზგიზებდნენ ინკვიზიციის კოცონები, სადაც ცოცხლად ხრუკავდნენ ათობით ათას ადამიანს მხოლოდ ღვთისადმი რწმენისადმი ოდნავი შერყევის მიზეზით.

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,

(გაგრძელება იქნება)

კუკური ფიფია 80 წლისაა

კუკური ფიფია დაიბადა 1937 წლის 16 იანვარს საქართველოში, წალენჯიხის რ-ნ სოფ. ლიაში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა – 1955 წელს.

1955-57 წ.წ. განვლო საბჭოთა კავშირის სამხედრო სავალდებულო სამსახური.

1961 წელს დაამთავრა სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი მშენებელ-ტექნიკოსის სპეციალობით.

1961-64 წ.წ. კ. ფიფია მუშაობდა **"ტყვარჩელსრესის"** მშენებლობაზე მშენებელ ოსტატად, სადაც სრულიად ახალგაზრდას მოუწია საინტერესო გერმანული პროექტის განხორციელება და თავისი ორი რაციონალური წინადადების რეალიზება, რომელმაც 25 ათასი მანეთის ეკონომია მისცა ქვეყანას.

საინტერესო და მისაბაძია ახალგაზრდა სპეციალისტის კუკური ფიფიას დაუკეტელი სწრაფვა სწავლის გაგრძელებისკენ. მაგრამ დასწრებულზე სწავლის ფუფუნება აღარ ჰქონია და 1971 წელს ამთავრებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტს დაუსწრებლად.

ცნობილია, რომ **"ენგურჰესი"** თავისი შინაარსით ერთერთი უნიკალური ნაგებობათა კომპლექსი იყო არამარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში და იქ, მშენებლობაზე მუშაობა და თავის გამოჩენა, მით უფრო ახალგაზრდა სპეციალისტისათვის, უდაოდ, ნიჭიერებას და სერიოზულ შემართებას მოითხოვდა. ეს თვისებები ბატონმა კუკურიმ გამოავლინა კიდეც და 13 წლის განმავლობაში, რიგითი ინჟინრიდან, მიწისზედა თუ მიწისქვეშა სივრცეში, მიაღწია უბნის უფროსის თანამდებობამდე.

ახალგაზრდობაში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ბატონმა კუკურიმ სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-ფორმირებისკენ წარმართა. იგი 1977-93 წ.წ. მუშაობს სოხუმში, მშობლიურ ინდუსტრიულ ტექნიკუმში პედაგოგად. აღნიშნული სასწავლებელი ერთერთი პრესტიჟული სასწავლებელი იყო რესპუბლიკაში.

შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში ხდება უდიდესი ტრაგედია. აფხაზეთში, ქართველებსა და აფხაზებს შორის გაჩაღებულ ომში ქართველების დამარცხებამ გამოიწვია ჩვენი უძველესი მიწაწყლის დატოვება და 300 ათასი ქართველი დევნილი ხდება. კუკური ფიფია თბილისში ფუძნდება და მუშაობას აგრძელებს სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომელიც დედაქალაქში იქნა გადმოტანილი.

ახალგაზრდობის ასაკიდანვე ბატონი კუკური მუდამ იღვწის სიახლის ძიებისკენ. როგორც **"ტყვარჩელსრესის"**, ასევე, **"ენგურჰესის"** მშენებლობაზე ეფექტურად იქნა დანერგილი მისი არაერთი რაციონალური წინადადება. უფრო მეტი, ის რამდენიმე გამოგონების ავტორია, რისთვისაც არაერთხელ იქნა დაჯილდოებული.

დევნილობის პერიოდში საინტერესოა ბატონ კ. ფიფიას მოღვაწეობა მისთვის სრულიად ახალ ამპლუაში, რომელიც ეხება ურთულეს პრობლემებს, კერძოდ, ჩვენი დამწერლობების – მხედრულისა და ასომთავრულის წარმოშობის საიდუმლოებებს. ინჟინრის ალღომ, გრაფიკის ენის პროფესიონალურმა ცოდნამ და იბერიული (ე.წ. მეგრული) ენის სიღრმეებში წვდომამ საშუალება მისცა მას მოეძიებინა ჩვენი დამწერლობების ჭეშმარიტი წარმომავლობა, რომელსაც ახლოს ვერ დაუდგება ვერცერთი დღემდე არსებული სხვა ვერსია. ამასთან, ის დამოუკიდებლად იკვლევს ენისა და მეტყველების წარმოშობა-ფორმირების შორეულ საწყისებს. რა თქმა უნდა, ამ საკითხების გარშემო კვლევების საწარმოებლად ბატონი კუკური ღრმად ეცნობა და აანალიზებს არამარტო ცნობილ ქართველ მეცნიერთა შრომებს, არამედ გამოჩენილი უცხოელი მეცნიერების – ვ. ჰუმბოლდტის, ფოგტის, ფურნიეს, ლოსევის, კონდრატიევის და სხვათა გამოკვლევებს.

საბედნიეროდ, მკვლევარ კ. ფიფიას მრავალ ნაშრომს კარგად ვიცნობ, უფრო მეტიც, ჩვენ ერთადაც კი გვაქვს გამოქვეყნებული საინტერესო მოსაზრებები ქართული ენის წარმოშობა-ფორმირების შესახებ.

საინტერესოა მისი გამოკვლევები და მოსაზრებები არმაზის ბილინგვის საიდუმლოების შესახებ. მისი ღრმა რწმენით ეს წარწერა მან გაშიფრა და იგი იბერიულ (ე.წ. მეგრულ) ენაზეა დაწერილი.

ენისა და მეტყველების წარმოშობის საიდუმლოების რაობა წინარე ისტორიის საკუთრებას წარმოადგენს. ამიტომ ყოველი კლასიკოსი მკვლევარ-მეცნიერისთვისაც კი ამ საკითხების მიახლოებით მაინც გადაჭრა დიდ სიფრთხილეს, განსწავლულობას და მიუკერძოელობას მოითხოვს. ამასთან, საჭიროა მკვლევარს ჰქონდეს ბუნებრივი ალღო, საკვლევი პრობლემისადმი დიდი სიყვარული შინაგანი ინტუიცია, რომელთა სიღარიბეს ბატონი კუკური არ განიცდის.

თბილისში კ. ფიფიას გადმოსვლა საცხოვრებლად, არც ისე დიდ დროს მოიცავს, მაგრამ დროის ამ მოკრძალებულ მონაკვეთში მან შეძლო 200-მდე სტატიისა სხვადასხვა მოცულობის ნაშრომების დაწერა და გამოქვეყნება ჟურნალ-გაზეთებში. მათ შორისაა ცხრა მონოგრაფია. ჩამოვთვლი ზოგიერთ მათგანს: **"ქართული ასომთავრული ანბანის ძველკოლხური ფესვები", "კაცობრიობის პირველი ანბანი ასომთავრული, თუ მხედრული?", "რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?", "რა ენაზე დაიწერა დედანში ბიბლიური „დაბადება?", "არმაზის ბილინგვის საიდუმლო ენა იბერიულია", "მეგრული ენა ქართული ენის დიალექტი, თუ გლოტოგონიური ფენომენი?", "მეგრული (იბერიული) ენის ფენომენი"** და სხვა.

რა თქმა უნდა, აღნიშნული შრომების განხილვა ამ მცირე ზომის საიუბილეო წერილში შეუძლებელია და არცაა მიზანშეწონილი, მაგრამ ბატონი კუკური დიდი ენთუზიაზმითა და პრობლემის განსაკუთრებული სიყვარულით იკვლევს მისთვის საინტერესო საკითხებს. ამასთან ერთად, იგი თავის გამოკვლევებში ღრმად დარწმუნებული,ხშირად არ ეთანხმება ცნობილ მეცნიერებს საკითხების გადაწყვეტაში. ამიტომ ზოგჯერ ოფიციალურ კითხვებს უსვამს მათ, რომელთა პასუხის გაცემა არც ისე ადვილია და ხშირად თვითონ იძლევა მის პასუხს.

კუკური ფიფია ნიჭიერი და ენერგიული მკვლევარია. იგი დიდ დროს უთმობს ენის წარმოშობა-განვითარების პრობლემური საკითხების შესწავლას. რაც მთავარია, 8 ათეული წელი აღარ დატყობია სიკეთისა და სიმართლისათვის მებრძოლ ადამიანს.

მიუხედავად ასაკისა, ბატონი კუკური საკმაოდ დატვირთულია საზოგადოებრივი მოღვაწეობით. იგი არის **„ფაზისისა"** და **„აიას"** საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია **„კოლხეთის"** ვიცე-პრეზიდენტი. უმთავრესი ის არის, რომ აღნიშნული აკადემიების მუშაობაში ბატონი კუკური აქტიურ მონაწილეობას ღებულობს და იგი ამ მხრივ, სამაგალითო მკვლევარია.

ბატონ კუკურის ჰყავს მეუღლე – დიანა შენგელია, პედიატრი, ხუთი შვილი: მარინე – ექიმი-კოსმეტოლოგი, ნონა – იურისტი, ბადრი – ეკონომისტი, დავითი – სტომატოლოგი, ვახტანგი – იურისტი. ასევე, ოჯახი დამშვენებულია ხუთი შვილიშვილითა და შვიდი ბადიშიშვილით.

და ბოლოს, ბატონ კუკური ფიფიას, დაუღალავ მკვლევარს, ერისა და სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტს, საიმედო მეგობარსა და დიდი ოჯახის თავკაცს ვუსურვოთ დიდი ხნის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ბედნიერება მის ახლობელ ადამიანებთან ერთად.

უახლოესი მეგობრების სახელით,

სიმონ ზაქარაია,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
ჟურნალისტი

ამ წერილის დაბეჭდვას არ ვაპირებდი, რათა ჩემი გადამეტებული ქება კადნიერებად არ ჩაეთვალა მკითხველს. მაგრამ არც ის შეიძლებოდა, რომ ავტორის თხოვნისათვის ანგარიში არ გაგვეწია. ამიტომ, ჩავთვალოთ, რომ ეს ქება ეკუთვნის გაზეთ "ილორს" და არა მის მთავარ რედაქტორს!

ახალ წელს გილოცავთ, ბატონო როლანდ!

მე თქვენ არ გიცნობთ, მაგრამ ვიცნობ **„ილორს"**, თავის მართალი სიტყვითა და დახვეწილი სალიტერატურო ენით. ეს გაზეთი იმ კაცისა და იმ სულის გამოძახილია, **„ვინც სინდისს თავი არ აარიდა"**, ვინც, უკომპრომისოდ და შეუფერადებლად ამბობდა სათქმელს, მუდამ, მაგრამ, არასდროს ბოღმის, ზიზღის და სიძულვილის ენით.

სიბრძნე, სიყვარული და სიდარბაისლე ხომ, ისედაც **„გზადაგზა ხიდად გასდევს მრავალგვაროვან ხასიათს გაზეთისას"**.

ამ ყველაფრისათვის – დიდი მადლობა, თქვენ!

პირადად მე, გაზეთთან სამგზის მომიწია შეხება, სამი ქართველი მამულიშვილის ამ ქვეყნიდან გასვლის გამო.

სამთავე შემთხვევაში, ვთვლი რომ, ჩვენ უსიტყვოდ და წინასწარი შეთანხმებების გარეშე გავუგეთ ერთმანეთს.

რატომ დამეუფლა ეს განცდა და რატომ მიმაჩნია ასე?!

მასალებზე მუშაობისას, ჩემი ამოსავალი (გაუთვითცნობიერებლად) იყო ამ მამულიშვილების სიცოცხლიდან, ულამაზესი და უმნშვნელოვანესი მოგონებების გამოხმობა და არა, მათი იმ წამსვე ნეკროლოგებსა და სამგლოვიარო ჩარჩოებში **„გამომწყვდევა"**, რისთვისაც, თქვენ, არც საგაზეთო სივრცე დაიშურეთ. ე.წ. სტანდარტებსაც ზურგი აქციეთ და მაგ გასაოცარი სულიერებით, ის უმძიმესი დღეები, გაცილებით გასაძლისი გახადეთ, ჩვენთვის. ამ ყველაფრისთვის დიდი მადლობა თქვენ და დიდხანს სიცოცხლე, თქვენ – ბატონო როლანდ!

იმისთვისაც დიდი მადლობა, ასე ძლიერად რომ გიყვართ ჩვენი სამშობლო და მისი სატკივარიც აგრერიგად რომ გეტკივილებათ...

დიდი მადლობა და იმავდროულად – თანაგრძნობა, იმისთვისაც...

„ბულბულივით რომ დასტირით დამდნარ ბიჭებს,
რომ ნატყვიარ სიმღერებზე დაგაბიჯეს,
განა ვარდი გამახარებს, განა ია,
ცოცხალი ვარ, სული მიდგას, ნანაია"!

ბატონო, როლანდ, თქვენ ძალიან კარგად უნდა იყოთ და ძალიან კარგადაც იქნებით, თქვენთან რა უნდა ავადობას. პირადად, მე ღრმად მწამს და მჯერა, რომ თქვენ და **„ილორი"**, ვინ მოთვლის, რამდენი ხნით და წლებით ივლით, კვლავაც – სრული სვლით წინ!

ადამიანებმა, – **„მინდა გჯეროდეთ, ჩვენს საქართველოს ისევ სჭირდება თქვენნაირები!"** კარგა ხანია გამოგიტახეს სიყვარული **„განაჩენი"**.

განა ასე არ არის? გეკითხებით, კოლხურ ფესვებზე ამოზრდილო, კარგო ქართველო, იმ დიდებული კოლხი წინაპრების ღირსეულო ჯიშო და ჯილაგო!

განა ასე არ არის?!

გეკითხებით და მიპასუხეთ, ბ-ნო როლანდ!

ახლა, საახალწლო, დღეებია საქართველოში. **„რა ხანია, ალამივით გადახრილა შემოდგომა, და სიყვითლემ შიგ ლექსებში ჩამოთოვა"**, მესმის ლოცვა: **„სქან სანთელო, მოდი, შური, რა ტკბილია, საქართველო ოდიშური!"**

რამდენიმე დღის წინ ახალმა წელმა და იმედებმა შემოაბიჯეს ჩვენს ქვეყანაში, ბატონო როლანდ!

ყველას ერთად **„დაჰბედებოდეს ნატვრის ახდენა და სიყვარული ბავშვივით წრფელი!"**

არასდროს მოკლებოდეს ღვთის მფარველობა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს და თქვენც, ბატონო ჩემო!

P.S. გაზეთ **„ილორში"** დევიზად, ბატონ აკაკი შანიძის მოსაზრებაა გამოტანილი: **„სირცხვილი ის კი არ არის, მეგრულად რომ ლაპარაკობენ, არამედ, ის რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა."**

სამწუხაროდ, მეც მათ რიცხვს განვეკუთვნები...

თუმცა, მეგრულ ენასთან მიახლოვების პირველ მცდელობას, ჩემი პროფესიის ენაზე, კი – ამ **„პრემიერას"**, სწორედ თქვენ გიძღვნით, ბატონო როლანდ:

„თქვა დო თქვანი „ილორს" გიზალანთ:
ბრელ, ბრელ ხანიშ სიცოცხლეს.

დღას თქვა დო თქვანი მკითხველს, ვამოლასუდას თქვანწკუმა ურთიერთობაშ ბედნიერება.

მიგახვამა ახალ წანას!

ნაზი ნავროზაშვილი

პოეზიის კუთხე

ბატონო რედაქტორო! ვიდრე პარტიობანას აყოლილი და სკამებისათვის დანასისხლად გადაკიდებული მედროვეები თავს ერთმანეთის ლანძღვა-გინებით "ირთობენ", ეგეთ დროული იყოს, შევახსენოთ სრულიად საქართველოს, რომ არსებობს უდიდესი განძი, რომელსაც, თუ ჭეშმარიტი მამულიშვილი დაეპატრონება, ისევე შეუძლია ჩვენი ქვეყნის გადარჩენა, როგორც 25 საუკუნის წინათ მეფე ფარნავაზის მიერ დიღომში, კერძოდ თრელიგორებსა და ჩალიბოლიგორებს შორის გამოქვაბულში აღმოჩენილ განძს.

უღრმესი პატივისცემით,

ალ. შენგელია

არილი

„გაჰყვეს სამეფო და საჭურჭლენი, გარნა
ხვამლისა მთასა რომელიც იდვა,
მცირედი გამოიღეს და გაიყვეს და
უფროსი ქვაბსავე დაუტოვეს".
„ქართლის ცხოვრება"

ჩალიბოლიგორებში დამალული განძი
როდი ჰგავდა ხვამლიდან ჩამოტანილ „დანძილს",
სხვა დრო იყო, ხალხიც სხვა
და თვლის სულ სხვა მანძილს
წინაპრისგან დიღომში დამალული განძი.
თრიალეთის ქედიდან გაქრა კვამლის კვალი,
ხვამლთან სხვა დღე შებინდდა,
სხვა ზნისა და გვარის,
და თუ სვენებ-სვენებით მთაზე ვინმე ადის,
ნეტა, გაიხსენებდეს ფარნავაზის წადილს!
თავგანწირვა ცოტნესი დარჩა დროშის გაშლას,
უცოდვესთა ცოდვები – რუსუდანს და ლაშას,
არის მკვდრის მზის არილი
და ბევრ კითხვას აშლის
ხან ულუს, ხან ნარინის ხეტიალი
მთაში!

რას გვეტყვი, ხვამლო?

მზე დიდხანს არ ანათებდა
ისტორიის კარუსელთან
და ვერასდროს გავივაკეთ.
ჯერ თათარი გვათათრებდა,
მერე რუსი გვარუსებდა,
დღეს იანკი გვაიანკებს.
მაგრამ განძი ფარნავაზის
მამულს მაინც ქარგავს ვაზით
და რას გვეტყვი, ხვამლო, ნეტა?
ხალხმა შენს განძს თუ მიაგნო,
საქართველოს როგორს ხედავ
უთათრ-ურუს-უიანკოდ?

მისწვდნენ აკვანს!

როცა ცხელი არის თორნე,
უნდა გქონდეს იმის დონე,
ღვარძლი ცომად არ მიაკრან.
ვინ უშველის ჩვენს ხალხს თორემ,
დაჰყავი და იბატონე,
რუსმაც იცის და იანკმაც;
გადაგვკიდეს მოძმე ტომებს,
დასაწვავად მისწვდნენ აკვანს.

იმედი ხვალის

ყველაფრის მთქვლეფ დედაღორის
მეცამეტე გოჭი
ძალზე ცუდად დაამთავრებს, ამას ვამბობ მოჭრით,
თავს აიშვებს საქართველო, დღემდე შენაბოჭი,
დაბრუნდება აფხაზეთი, ტუაფსე და სოჭი.
სიძულვილი მავთულხლართით ჯანდაბაში ჩავა
და აღდგება ახალგორი, ცხინვალი და ჯავა.

კაბადოკია

კავკასიონის კაბა მოკლეა, –
შაგრენის ტყავად გვაქციეს და
რაც ვართ, ესა ვართ
და თუმცა დღემდე ხმალი დაგვრჩა
აულესავად,
ციხე-კოშკი კი გაულესავად,
ხვალ არ ვიქნებით ის, რაც დღესა ვართ,
რადგან ისევ გვაქვს საოცნებოდ და საეს ავად
წმინდა გიორგის,
წმინდა ნინოს კაბადოკია!

ალექსანდრე შენგელია

ილორი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ კვარაცხელია ბლოგი

ფიქრები დონალდ ტრამპის და ვლადიმერ პუტინის ბოლოდროინდელ განცხადებებზე და საქართველოს მომავალზე...

მსოფლიო იცვლება... მსოფლიო უკვე გახდა მრავალპოლარული... აშკარად იკვეთება ახალი მსოფლიოს კონტურები... უდიდესი ალბათობით, უახლოეს წლებში ჩვენ გავხდებით მომსწრენი თუ როგორ გადაინაწილებენ გავლენის სფეროებს ზესახელმწიფოები... გულწრფელად გითხრათ არანაირი სასწაული აქ არ მოხდება და მოვლენათა ამგვარი დინამიკა თავის დროზე უნდა განეჭვრიტა ქართულ პოლიტიკურ კლასს... მაგრამ, ფაქტი ისაა, რომ კორდონებს გარედან სტიმულირებულ ადგილობრივ პოლიტიკან-მარიონეტებს ამაზე ფიქრში დამეები არ უთევიათ და პრინციპში ისინი არც იყვნენ ამისათვის შინაგანად მოტივირებულნი... არადა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ქართული პოლიტიკის ჩრდილოეთის ვექტორის მიმართულებით გააქტიურება.... სამწუხაროდ, ქვეყანა გადააყოლეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებზე ბოდვით იდეას... წლების განმავლობაში ილუზიის ტყვეობაში ამყოფეს ჩვენი მრავალჭირნახული და გაუბედურებული თანამემამულეები! მართალია, ერთეული ადამიანები დაუზარებლად დადადებდნენ ამგვარი პოლიტიკის დამღუპველობაზე, მაგრამ არც ხელისუფლება-მთავრობებმა და არც საზოგადოებრიობამ არც მოისმინა და არც შეისმინა გონიერი და სტრატეგიულად მოაზროვნე ადამიანების დადადისი!..

არადა, თუ კარგად მივადევნებთ თვალს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, აშკარად დავინახავთ იმასაც, რომ დრო ჩვენზე ნამდვილად არ მუშაობს! ეს მაქსიმალურად სწრაფად უნდა გაიცნობიეროს ქართულმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა! ვიმეორებ: დრო ჩვენზე არ მუშაობს და თუ რატომ, ამას ახლავე ავხსნი თუნდაც იმ კონტექსტში, რომ უკანასკნელი 20-25 წლის გადასახედზე ჩვენ ვიდექით დილემის წინაშე და ამ დილემის არსი მდგომარეობდა შემდეგში – ქვეყნის გაწევრიანება ევროატლანტიკურ სტრუქტურებში აფხაზეთ-სამაჩაბლოს გამოკლებით, პლიუს ამას რამდენიმე რეგიონის დაკარგვის სავალალო პერსპექტივით... ან, ტერიტორიული რეინტეგრაციის რეალური პერსპექტივა ჩრდილოურ ვექტორზე ორიენტირების სანაცვლოდ... ამჟამად, უკანასკნელი მოვლენების კონტექსტში, როგორც ჩანს, რეალურად რჩება მხოლოდ ჩრდილო ვექტორზე ორიენტირების შესაძლებლობა, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ტერიტორიული რეინტეგრაციის საკითხი ჩვენი უგუნურობის და სტრატეგიული აზროვნების გასაოცარი სიბერწის გამო შესაძლებელია უკვე მიუღწეველიც აღმოჩნდეს! უწინარესად, აი, აქ ვხედავ მე ე. წ. ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ღალატს!.. თუმცა, ასეა თუ ისეა, გვინდა ეს თუ არ გვინდა, ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ფიქრი, აზროვნება, ძალისხმევა მაინც ამ ჩრდილოურ ვექტორზე უნდა იყოს მიმართული, რადგან სამშობლოს გადარჩენა-გამთლიანების სხვა შანსი, ოდენ ამისა, საერთოდ არც არსებობს! დიახ, არ არსებობს ალტერნატივა! ჰოდა, რაც უფრო სწრაფად, დროულად შევიგნებთ ამას – მით უკეთესი საქართველოსთვის!!!

უფალმა ყველას გაგვინათოს გონება და შეგვეწიოს სამშობლოს გადარჩენისათვის ძალისხმევაში!!!

თანამემამულენო!

მამანტი და ცირა ძაძამიების ტიტანური შრომის შედეგად გამოსაცემად მზადაა ოცტომეული... ნაშრომის სახელწოდებაა **„მეგრული – ენის წარმოშობისა და განვითარების საუნჯე"**. როგორც წიგნის ავტორები ირწმუნებიან: პირველად ენათმეცნიერების ისტორიაში წარმოჩენილია ენის წარმოშობის საფუძვლები, მაშინ, როდესაც მსოფლიო ენათმეცნიერების მიერ ამ საკითხის შესწავლა საერთოდ შეუძლებლად იყო გამოცხადებული და ასეთი შეხედულება გაბატონებული იყო თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში. ამავე დროს ამ ოცტომეულში წარმოდგენილია მეგრული ენის ლექსიკა – მისი ფანტასტიკური სიმდიდრე, რაც მოიცავს მილიარდ ოთხას ათ მილიონზე მეტ სიტყვას პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ... აქედან, ავტორების ვარაუდით, თანამედროვე მეგრულში იხმარება ან შეიძლება ხმარებულ იქნას სულ მცირე ხუთასი მილიონი სიტყვა... ოცტომეულში სათანადო ხერხის გამოყენებით ავტორებს ყოველ გვერდზე საშუალოდ წარმოდგენილი აქვთ (იკითხება) ას ორმოცდაათ ათასამდე სიტყვა. ავტორებს შესწავლილი აქვთ მთელი ლექსიკის სითყვაწარმომავლობა ანუ ეტიმოლოგია, ცხადია სათანადო ხერხის გამოყენებით. თანამედროვე მეგრულში ხმარებადად ნაგულისხმევი ხუთასი მილიონი სიტყვა მოიცავს ოცდახუთ ათასამდე ტომს – ექვსას გვერდიანი წიგნების სახით. მისი ლექსიკონის შედგენას დღეში თითო ტომის შედგენის პირობებში (რაც რა თქმა უნდა ფანტასტიკურია) მოუნდებოდა ავტორების სამოცდათოთხმეტი წლის მუშაობა, ამიტომაც ავტორები შეეცადნენ მოეძიათ მეგრული ენის კომპიუტერული ლექსიკონის ექსტერნული წესით შედგენის ხერხი. მიააკვლიეს კიდეც ამ ხერხს და უკვე შედგენილი აქვთ კომპიუტერში ზემოთ ნახსენები ოცდახუთ ათას ტომეულის პირველი ათასი ტომი... ოცტომეულის და აღნიშნული ოცდახუთ ათას ტომეულის პირველი ათასტომეულის სანიმუშო შვიდი ტომი ინახება მეცნიერებათა აკადემია **„აიას"** ბიბლიოთეკაში (მისამართი: წალენჯიხა, ეწერი, მამანტი ძაძამიას სახლი). ეს არის უნიკალური ბიბლიოთეკა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მამანტი და ცირა ძაძამიების ნაშრომებზე გაკეთებულია ორასამდე რეცენზია-შეფასება. აგრეთვე, გამოხმაურებანი საზღვარგარეთის ოცდაათამდე ქვეყნიდან...

და ბოლოს, მოვუწოდებ ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების მქონე ბიზნესმენებს, რომ დააფინანსონ ამ უნიკალური მეცნიერული ნაშრომის გამოცემა... ამით ისინი მოიხდიან ვალს სამშობლოსა და კაცობრიობის წინაშე... ამით ისინი უთუოდ აღასრულებენ უფლისათვის სათნო საქმეს!..

ზურაბ კვარაცხელია

ვითარცა მოსემ

ცნობილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი ლერი ალიმონაკი ჩვენი მეგობარი და თანამებრძოლია. ქუთაისში დაბადებული და გაზრდილი ქართველი კაცი საოცარი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევა მის კოლეგებს შორის. სწორედ ლერი ალიმონაკის დიდი დამსახურებაა, რომ დღეს ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცნობთ დიდი ქართველი პოეტის ტერენტი გრანელის მდიდარ შემოქმედებას. ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოებული იქნა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიით. მკითხველისათვის უდავოდ საინტერესო იქნება გაგაცნოთ ბატონი ლერის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 2016 წლის 8 ნოემბერს, საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის გადაცემის ცერემონიალზე.

8 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე იყო. 179 წლის მოხუცის ლანდი შორეთიდან გულდაფლეთილი შემოგვყურებს. და ოდეს ხედავს სამშობლოს ცას შავი ღრუბლებით მოგრაგნილს, მისი კაეშნით სავსე თვალები უფრო მეტი კაეშნით ივსება. საღმრთო კვერთხი, რომლითაც ნახევარი საუკუნე წინ მიუძღოდა ერს, ზეცისკენ აღუპყრავს და ძე შეცდომილთ გვაფრთხილებს:

– არ დავუზავდეთ ეშმაკს!

მისი მძლავრი გონება, როგორც გონება ნათელმხილველი ქურუმისა, ერთნაირი ძალით სწვდებოდა როგორც საღმრთო, ისე საწუთისოფლო სამოღვაწარს. მესიანური იდეებით აღჭურვილმა, ვითარცა მოსემ აღმოიყვანა ისრაელიანნი კერპთა ჯურღმულებიდან, ისე მან აღმოიყვანა ქართველნი მონობის სიწყვდიადიდან და მიზნად სიტყვა და მოღვაწება დაუსახა. სიტყვასა და მოღვაწეობას უნდა შეეკრა ერი ქვეყნის სახსნელად, ეძლია ურჩხული, სამშობლო მიწაზე ოთხმხრივ გარდათხმული. მან იტვირთა კირთებანი ერისა. ის, ყოვლადბრძენი, როგორც მესათხევლე – ბადეს, ისე დაიკრებდა თავის თავში ერის ყველა ტკივილს, ყველა საწამებელს. ამ სამოღვაწარს მიუძღვნა თავი, შეეწირა კიდეც ამ სამოღვაწარს, როგორც საღმრთო ზვარაკი. ამიტომაც დაადგეს თავს მოწამის გვირგვინი, ამიტომაც შემოსეს ღვთისკაცის შარავანდედით, ამიტომაც შერაცხეს წმიდანად. მან დაუხსნა ქართველთ ცნობიერების, მახსოვრობის კარიბჭენი, გაახსენა ერს ვინაობა, თვალწინ გადაუშალა მრავალმოწამეობა ქვეყნისა.

მარტო ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენება რად ღირს?!

დაშრეტილი ცნობიერებითა და მახსოვრობით რომ ფუჭია ყოველგვარი სიტყვაცა და მოღვაწეობაც, ეს, უწინარესად, თუ ვინმემ უწყოდა, ილია ჭავჭავაძემ უწყოდა. სწორედ სიტყვისთვის, სწორედ მოღვაწეობისთვის ესროლეს ტყვია. თუმცა კაცი მოჰკლეს, ვერ მოჰკლეს ილია – ის საუკუნო თანამდევი სულია საქართველოსი.

დღესაც დიდი შეტევაა ერის ცნობიერებაზე, რომ დაუფატრონ და ამოუძირკვონ იქიდან ილიას ნამემკვიდრები სიტყვა და მოღვაწება, რაც ერის მაცხოვნებელია, გამაჟამგრძელებელია. ოღონდაც მის დიდებულ სახელს მოწამის შარავანდედი შეუბილწონ, დღესაც ბევრგზის გაიგონებთ ცილისმწამებლურ ხითხითს, რაც არც სიცოცხლეში ჰკლებია, არც სიკვდილის შემდგომ დაუკლიათ მისთვის საქართველოს მტრებს. არ უნდა ფიქრი: ჯერ კიდევ ჰყვავის ჩვენში სოციალ-დემოკრატების, ბოლშევიკ-კომუნისტების დათესილი ღვარძლი, და ეს ღვარძლი როდის აღმოიფხვრება, თუ ფხიზლად არ ვიქენით, კაცმა არ იცის. და ახლა, სწორედ ახლა, მახსენდება გალაკტიონის სტრიქონები:

„ანგარიშში სცდება მტერი,
როს მღერის და გულში ღრინავს
– მას არ სძინავს არასოდეს,
მაგრამ ეხლა არც მე მძინავს".

გალაკტიონივით, დღენიადაგ მდვიძარება გვმართებს, დიდი ილიას სიტყვა და ღვაწლი შავ წყალს რომ არ გავატანოთ. და ოდეს ჩვენს გულებში დაიზაფხულებს, სვეტიცხოვლის ძველ ტაძარში ჩვენც შევუერთოთ ჩვენი ხმა ჩვენი დაბეჩავებული ერის ხმას და ანდერძივით გულში შთავიბეჭდოთ ღვთაებრივი ილიას ღვთაებრივი სიტყვები:

ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია?!
აწმყო თუ არა გვწყალობს,
მომავალი ჩვენია!

რა ვქნათ, ასეთია ქართველთა ხვედრი.

დაბოლოს, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, მე, ილია ჭავჭავაძის იდეებზე აღზრდილი, მეცხრამეტე საუკუნის ნაშიერად ვთვლი თავს, იქ ვყალიბდებოდი, როგორც მოქალაქე, ნიადაგ იქაური სულისკვეთება მასაზრდოვებდა, დღესაც ის სულისკვეთება მასაზრდოვებს. და ეს ჯილდო კიდევ ერთხელ მკაცრად შემახსენებს ილიასეულ ფორმულას:

– არ დავუზავდე ეშმაკს!

მადლობა მინდა მოვახსენო ამ საქმის ყველა მოთავეს, კოლეგიისა თუ საბჭოს წევრებს, ბატონ ანდრო ბედუკაძეს, რომლებმაც ღირსად მცნეს და მომანიჭეს ესოდენ საპატიო ჯილდო, ჯილდოთა შორის ზეადმატებული – პრემია ილია ჭავჭავაძისა.

ლერი ალიმონაკი,
1 ნოემბერი, 2016 წელი

სვანური ქუდის კიდევ ერთი საიდუმლოება

სვანური ქუდი სამი ფერისაა. ეს მისი კიდევ ერთი საიდუმლოებაა. შავი ფერი – ქვესკნელი ანუ გარდაცვალებულთა სულები, თეთრი ფერი – ზესკნელი ანუ ანგელოზები, წმინდანები, ნაცრისფერი ანუ წუთისოფელი, რომლის მკვიდრიც ვართ ჩვენ ცოცხალი ადამიანები. ცოდნას ფერთა მნიშვნელობის შესახებ მოიცავს თეთრი და შავი, ხოლო მათი შერევა ნაცრისფერს გვაძლევს, რომელიც ერისკაცის თავსაბურავია, ნიშნად იმისა, რომ იგი ფლობს ცოდნას ქვესკნელისა (შავისა) და ზესკნელისა (თეთრისა) ამიტომ ნაცრისფერი ქუდი შეიძლება დაიხუროს საერო მოძღვარმა, შავი ქუდი კი – ბერმა.

იესო ქრისტემ ჯვარცმით გამოისყიდა ცოდვა ადამისა და გვაუწყა **„მამაკაცი არის თავი დედაკაცისა, აგრეთვე დედაკაცმა თავი დაიფაროს ლოცვის დროს, ხოლო მამაკაცმა ქუდი მოიხადოს."**

სვანური ქუდის პირველი წრე დედაკაცის მიერ მიცემულ ახალ აღთქმას ნიშნავს, ხოლო მეორე წრე ჯვრის ტვირთვას, ჯვარცმას გოლგოთის მთაზე, რომელიც ნიშნავს **„თხემის ადგილს"**, აგრეთვე, თავის არე, რომელსაც ეს ქუდი ფარავს, არის თხემის ადგილი, სადაც გადაიკვეთება ქუდზე ჯვარი. მამაკაცი დახურვისა და მოხდის დროს ჯვარის შუა ადგილს ეხება, ჯვარის გადაკვეთის ადგილას არის ჯვარზედ გაკრული მაცხოვრის თავი.

სვანური ქუდი არის მძივი მარგალიტის, მდოგვის მარცვლისოდენი რწმენის სიმბოლოდ არის გაკეთებული გრეხილ ძაფზედ. ხოლო უსუპის სიმბოლო ფოჩი დიდებულების სიმბოლოა, მიანიშნებს იმაზე, რომ მამაკაცი არის მაკურთხებელი, იგია შემოქმედი წყლის კურთხევის ანუ იესო ქრისტეს ღმერთად განცხადების, მისი ჩასვლით იორდანეში, წყლის მონათვლისა და სხურების. სვანური ქუდი მთელი მისი გარეგნული ფორმით ლამპარს ჰგავს, ეს მაშინ როდესაც მამაკაცი ქუდს მოიხდის და ფოჩს ამოაბრუნებს, რათა ამ ძაფით ქუდი ჩამოკიდოს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲖᲔ

...ჩვენ არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ სომხებს უძველეს ქრისტიანებად კი მოაქვთ თავი, მაგრამ ვერავინ შემოგვედავება თუ ვიტყვით – სომხების ამ მტკიცებას არაფერი აქვს საერთო ქრისტიანულ დოგმატიკურ ნორმებთან! ...მაგრამ, ვიდრე მაღალ ზნეობრივ მოთხოვნებს წავუყენებდეთ მონოფიზიტ სომხებს, აქვე უნდა გავიხსენოთ და განვმარტოთ, რომ თვით სომხური ეკლესია, თავისი ბუნებით, ბევრად უფრო შორს დგას ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოებისაგან, ვიდრე, თუნდაც მაჰმადიანური რელიგია, რომელიც ღირსეულ პატივს მიაგებს ქრისტიანულ სარწმუნოებას. ყურანი აღიარებს სამ სრულყოფილ ქალს – მუჰამედის დედას, მუჰამედის დას და მარიამ ღვთისმშობელს, ხოლო იესო ქრისტე ყურანში წარმოდგენილია ისა წინასწარმეტყველად, რაც ფაქტიურად მისადმი ღრმა პატივისცემის გამოხატვაა. სომხები, თავიანთი მცდარი და ცოდვილი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, არ აღიარებენ ქრისტეს ადამიანურ ბუნებას, მის მშობელ მარიამს და კატეგორიულად არ სცნობენ ხარებას, ქრისტეს შობას, ნათლისღებას, ჯვარცმას, აღდგომას, ამაღლებას და ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებულ სხვა სასწაულებს. ***ეს კი თავისთავად უგულვებელყოფს ქრისტიანული სარწმუნოების მთავარ პოსტულატს იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვას საკუთარი ჯვარცმით.***

"...არა გული გითქმოდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყვეს მოყვასისა შენისა" – გვასწავლის მაცხოვარი, რაც უცხოა იმ სომეხი ვაიმეცნიერებისათვის, რომლებიც უამრავ ეკლესია მონასტრებს გვედავებიან, საუკუნეების წინ შექმნილი ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ამსახველი სცენები რომ ამშვენებს ფრესკების თუ ბარელიეფების სახით, რასაც სომხები არ სცნობენ და ცხადია ისინი ვერც შექმნიდნენ მათ!

ისტორიული სინამდვილე გახლავთ ისიც, რომ მე-16 საუკუნემდე ქრისტეს საფლავს მცველებად ედგნენ ქართველი ჭეშმარიტი მართლმადიდებლები, რომელთაც, საქართველოზე, შუა საუკუნეებში თავს დატეხილი ძნელბედობის ჟამს, მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში მიმდინარე ინტრიგებისა არაკეთილსინდისიერ საეკლესიო მოღვაწეთა მცდელობის შედეგად, დაჰკარგეს ქრისტეს საფლავის მცველთა ფუნქცია. არავინ იცის საიდან და რა გზებით ან რა რელიგიურ-მორალური უფლებით, მაგრამ ამ ადგილს დაეუფლნენ და დღესაც ფლობენ სომხები, რომელთა რელიგია საერთოდ არ აღიარებს ქრისტეს ადამიანურ ბუნებას. საყოველთაოდ ცნობილია ისიც, რომ ადამიანთა წარმოსახვაში არსებულ მითოლოგიურ ღმერთებს – **ზევსს, ჰერას, აფროდიტას, ჰადესს, დემეტრეს, ათენას, აპოლონს და სხვებს მიწიერი საფლავები არ გააჩნიათ** სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო. საფლავი შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ხორციელ ადამიანს, მაგალითად იესო ქრისტეს, რომელიც ეწამა ადამიანებისათვის და რომელსაც აგერ უკვე ჩვიდმეტი საუკუნეა კატეგორიულად არ სცნობენ სომხები, როგორც ძე-ხორციელსა და ჯვარცმით ვნებულს.

განა, ზემოთქმულის შემდეგ, სრული უფლება არა გვაქვს დავასკვნათ, რომ გრიგორიანული ეკლესია რელიგიური სექტაც კი არ არის და იგი მხოლოდ ქრისტეს მგმობელთა და ქრისტიანობის მკრეხელთა უწმინდურ ბუდეს წარმოადგენს. ხოლო ქართველთა უფლებაზე ქრისტეს საფლავის მიმართ მეტყველებს ქვემორე წერილიც, რომელსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲖᲔ

"გოლგოთის სამლოცველოს ქართული საძმო ფლობდა და წარწერები იქ მოღვაწე ბერებისგანაც დარჩა"

"საინტერესოა ის ფაქტი, რომ უფლის საფლავის შესასვლელ კარიბჭეზე ტოვებდნენ ქართველები წარწერებს. სხვაგან იმ პერიოდის, ასეთი სიხშირით გაკეთებული ქართული წარწერები ვერ აღმოვაჩინეთ. მხოლოდ სამხრეთის კედელზე, ისიც კარიბჭეზეა დატოვებული. რამდენიმე მლოცველის წარწერა მეორდება წმინდა მიწის სხვა ეკლესიაზეც..." – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს აღნუსხვა-დოკუმენტირების სამსახურის უფროსი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, გიორგი გაგოშიძე უფლის საფლავის ქართულ წარწერებზე გვიამბობს:

"– უფლის საფლავი მრავალჯერ არის გადაკეთებული. მოგეხსენებათ, იერუსალიმი ჯვაროსნებმა აიღეს და მეთორმეტე საუკუნეში, ფაქტობრივად, თავიდან ააშენეს უფლის საფლავის ეკლესია... რაც შეეხება წარწერებს, ოცამდე ქართული წარწერაა უფლის საფლავის სამხრეთით კარიბჭეზე. ქართული წარწერები კარიბჭის შემამკობელ მარმარილოს სვეტებზეა და ყველა მათგანი წაკითხულია. გაკეთებულია ასლები და ნაწილობრივ გამოქვეყნებულია, ასევე გამოიცემა დიდ წიგნად, რომელიც ახლა მზადდება, სათაურით: "წმინდა მიწის ქართული წარწერები".

უფლის საფლავის ქართული წარწერები გაერთიანდება წმინდა მიწის დანარჩენ სხვა ქართულ წარწერებთან და დაახლოებით ასამდე წარწერა გამოვა. უფლის საფლავის ქართული წარწერები უმეტესად მლოცველთა მინაწერებია, როგორც პილიგრიმების, ასევე ადგილობრივი ქართველი ბერების. უფლის საფლავზე, გოლგოთის სამლოცველოს ქართული საძმო ფლობდა და წარწერები იქ მოღვაწე ბერებისგანაც დარჩა.

წარწერების ქრონოლოგია დაახლოებით მე-13-მე-16 საუკუნეებს მოიცავს და ჩემამდე ნანახი ჰქონდა ალექსანდრე ცაგარელს, შემჩნეული ჰქონდა ტიმოთე გაბაშვილს, რომელმაც მე-18 საუკუნეში იმოგზაურა იერუსალიმში. შემჩნეული ჰქონდა ასევე პილიგრიმს, ლავრენტი ოკრიბელს... თუმცა ამოკითხული იყო მხოლოდ ის ქართული წარწერები, რომლებიც დღეს აღარ არსებობს. მაგალითად, ლეონ კახთა მეფის და იოაკიმ ჯვარის მამის წარწერა, რომელიც გაკეთებული იყო გოლგოთის საპატრიარქო ტახტზე და მე-19 საუკუნის დასაწყისში, 1808 წელს მომხდარი ხანძრის დროს განადგურდა. ამ წარწერის შესახებ მხოლოდ ტიმოთე გაბაშვილის და ლავრენტი ოკრიბელის ცნობებით ვიცით.

– უფლის საფლავზე ქართული წარწერები რა შინაარსისაა?

– ძირითადად ყველა მათგანი მაცხოვარს შეწყალებას სთხოვს. მაგალითად, კარიბჭეზე ასეთი წარწერაა: **"საფლავო ქრისტესაო, შეიწყალე სოფრონი"**. საინტერესოა ქართველი პილიგრიმების თუ ადგილობრივი ბერების იდენტიფიკაცია... ვინმე სოფრონი კიდევ წერს იერუსალიმის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის კედელზეც. ისტორიულ წყაროებში იხსენიება ვინმე საბაჟოფილი სოფრონი, შესაძლებელია იგივე სოფრონი იყოს, რომელმაც უფლის საფლავზე დატოვა წარწერა...

არის კიდევ წარწერა ვინმე ნიკოლოზ გრძელის, რომელიც, სავარაუდოდ, მე-13-მე-14 საუკუნით თარიღდება. ნიკოლოზ გრძელს სვეტის ერთ-ერთ ბაზაზე აქვს მიწერილი, ის ასევე იხსენიება წმინდა მიწაზევე მდებარე ბეთლემის მონასტრის სვეტის წარწერებში. იქ მას რამდენჯერმე აქვს წაწერილი... ის შესაძლებელია ადგილობრივი ბერიც ყოფილიყო.

არის კიდევ ერთი საინტერესო წარწერა: **"ჯვარო ქრისტესაო და საფლაო ქრისტესაო შეიწყალე ჯვარაძე, თომა, ყოფილი იოაკიმ, ვინც ბრძანოს, შეუნდოს ღმერთმან..."** ანუ ვინმე თომა ჯვარაძეა, რომელსაც სასულიერო სახელად იოაკიმი შეარქვეს.

კარიბჭეზე კიდევ ასეთი წარწერაა: **"საფლავო ქრისტესაო შეიწყალე სული ჩემი"** და იქვეა დახატული გოლგოთის ჯვარი... არის კიდევ ბართლომეს წარწერა: **"ბართლომეს შეუნდოს ღმერთმან"**. მაგალითად, არის ვინმე გერმანოზის წარწერა. წერია მხოლოდ **"გერმანოზ"**. ჩანს რომ წარწერა დაუსრულებელია... გერმანოზი იშვიათი სახელია, მაგრამ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ამ სახელით რამდენიმე პირი მოღვაწეობდა. მაგალითად, მე-14 საუკუნეში მონასტრის წინამძღვარი იყო გერმანოზი.

კიდევ ასეთი წარწერაა კარიბჭეზე: **"მათე გრიგოლს ღმერთმან შეუნდვენ"**. მათე გრიგოლი ჩვენთვის უცნობი პირია, მაგრამ სინას მთის XII-XIV სს ლიტურგიკული კრებულის (შინ. 76) ამავე სახელებით ორი სხვადასხვა პირია დამოწმებული: გამზრდელი გრიგოლი და მისი შეგირდი მათე... კარიბჭეზე არის ვინმე აშოტის წარწერა **"აშოტს შეუნდვენ ღმერთმან"**. ასეთი შინაარსის, ძალიან მარტივი წარწერებია, რაც ასახავს იმას, რომ ქართველები მიდიოდნენ წმინდა საფლავზე და ჰქონდათ საშუალება წარწერები დაეტოვებინათ...

კარიბჭეზე ამოკაწრულია ძირითადად ასომთავრული წარწერები. არის რამდენიმე წარწერა, სადაც **ასომთავრულთან შერეულია ნუსხახუცურიც.**

– უფლის საფლავის გარდა, კიდევ სად გვხვდება ქართული წარწერები?

– ქრისტეს საფლავთან არის წმინდა აბრაამის მონასტერი, რომლის სამხრეთ კედელზე იყო ვინმე გიორგი აბაშიძის (იმერელის) ქართულ-ბერძნული წარწერა. წარწერა ბოლო დროს რემონტის გამო ამოიღეს კედლიდან, თუმცა მის უკან დაბრუნებას აპირებდნენ. ჯერჯერობით არ დაუბრუნებიათ და საინტერესოა მისი ბედი! ამ წარწერის ფოტოებიც გვაქვს, ასლიც გვაქვს გადაღებული... უფლის საფლავზე მე-13 საუკუნემდე არ არის ქართული წარწერები შემორჩენილი. ჯვაროსნებმა მე-12 საუკუნეში ყველაფერი განაახლეს და სავარაუდოდ, მანამდე არსებული ქართული წარწერები ტაძარში მიმდინარე რემონტის დროს განადგურდა.

ვიცით, რომ მე-12 საუკუნეში გოლგოთაზე ქართული საძმო არსებობდა. იყო ვინმე იოანე გოლგოთელი, რომელმაც მე-12 საუკუნეში ხელნაწერი გადაწერა. დარწმუნებული ვარ, გოლგოთაზეც იქნებოდა ქართული წარწერები, მაგრამ გოლგოთის ეკლესია ძალიან აქტიურად იცვლება, ხშირად მიმდინარეობს რემონტი და წარწერები ალბათ წაშლილია...

ქართული წარწერები ჩაკარგულია უამრავ სხვა წარწერებში – ბერძნულში, სირიულში, არაბულში სომხურში და ა.შ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართველები წარწერებს უფლის საფლავის შესასვლელ კარიბჭეზე ტოვებდნენ. სხვაგან ჩვენ იმ პერიოდის, ასეთი სიხშირით ქართული წარწერები ვერ აღმოვაჩინეთ. მხოლოდ სამხრეთის კედელზე, ისიც კარიბჭეზე. რამდენიმე მლოცველის წარწერა მეორდება წმინდა მიწის სხვა ეკლესიაზეც.

მთლიანობაში წმინდა მიწაზე ყველაზე მეტი წარწერები ჯვრის მონასტერზეა. მოგეხსენებათ, ჯვრის მონასტერი მე-17 საუკუნის მიწურულამდე ქართველებს ეკუთნოდათ, ბევრია ასევე წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთ კედელზე, ბეთლემში... წარწერები გვხვდება კედლებზე, ხატებზე, ქსოვილებზე. ქართველების ორასორმოცდაათამდე ხელნაწერია იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქო ბიბლიოთეკაში... ასე რომ, ქართველები ძლიერად არიან წარმოდგენილი წმინდა მიწაზე. სავარაუდოდ, 2017 წელს გამოქვეყნდება დიდი წიგნი ამ წარწერების შესახებ.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲑᲐᲑᲠᲘᲯᲘᲫᲔ

ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲐᲒᲔ

მქონდა ბედნიერება ურთიერთობა მქონოდა და თავი დამეხარა დიდი მცნიერისა და უბადლო ქართველის წინაშე. ამ თავდახრას, ამ მოწიწებას ბატონი მამანტი ძაძამიას ის დიდი ღვაწლი იწვევდა, რაც მან როგორც ენათმეცნიერმა და ნიჭიერმა მკვლევარმა დასდო მეგრულ ენას. ჩვენს კოლხურ განძს, ჩვენს აკვნის საგალობელს. დაბადებიდან შესისხორცებულ ნანაშ ნინას.

გულის გულამდე დამდის ტკივილის სიმწარე, რომ აწ და მარადის ჩვენს გვერდით არ იქნება თანამედროვეობის უბადლო მეცნიერი, რომლის ღვაწლი ფასდაუდებელია.

ახლა მაგიდაზე მიდევს ბატონ მამანტის მიერ გამოცემული წიგნები, რომელსაც ამშვენებს მისი წარწერა ჩემდამი და ის უამრავი საგაზეთო წერილი, რომელსაც საგულდაგულოდ ვაგროვებდი, ახლა ნებისმიერს, რომ ვფურცლავ, ყოველი მათგანიდან მიმზერს ღიმილიანი, ბრძენი ადამიანი, რომელმაც ქართველურ ენებთან ერთად, მსოფლიო ენების გენეტიკური ურთიერთკავშირში გვიჩვენა მეგრული ენის უნიკალურობა.

ასევე, უტყუარი წყაროებზე დაყრდნობით მოიძია ქართველური ეთნოსის ხალხების განსახლების არიალი უძველეს და ძველ დროში, ვიდრე დღევანდელობამდე. ეს ყოველივე ითხოვდა ნიჭიერებასთან ერთად უდიდეს შრომას, რასაც შეალია საკუთარი ენერგია და ჯამრთელობა.

ბატონი მამანტი ძაძამია არის მეგრული ენის დიდი მოამაგე. მან გაგვიმხილა ბევრი დაფარული და მანამდე უთქმელი საიდუმლო. ამასთან დაგვმოძღვრა, დედის რძესავით მოვექცეთ ყველაზე მგრძნობიარე სიმს – ენას, რამეთუ, თუ ენა კვდება, ხალხიც ისპობა. მან გახსნა თითქმის დაგმანული სარკმელი, რომლის მეშვეობით შეგვახედა მტერსა და მოყვარეზე. მან შექმნა მეცნიერულად წუნდაუდებელი გამოკვლევები, რომლითაც გაწბილებული დატოვა მოშურნეები და ათასი რჯულის უგვანონი.

ვინც ჭეშმარიტებას გვიჩვენებს, იმავდროულად რწმენას გვინერგავს. ბატონმა მამანტიმ გაგვიმტკიცა რწმენა, რომ აწ და მარადის კაცობრიობის წინაშე შეგვიძლია წარვდგეთ ამაყად და ხმამაღლა ვთქვათ, თუ რას წარმოადგენს ჩვენი უდამწერლობო ენა.

მიუხედავად იმისა გული ძალზე დამწუხრებული მაქვს, თავს მაინც უფლებას ვაძლებ გავიღიმო. და ეს ღიმილი ბატონ მამანტი ძაძამიას ეკუთვნის. ის ჩემში მარად დარჩება ისეთივე სიცოცხლით სავსე და დაუდგრომელი, როგორიც შემხვედრია, როგორთანაც მისაუბრია, რომელსაც ჩემთვის სიცოცხლის აზარტი და ერისადმი მსახურების მუხტი გადმოუცია.

რა დამავიწყებს იმ ბედნიერ დღეს, როდესაც ორიოდე წლის წინათ აბაშის ცენტრალურ პარკში, როცა ზვიად გამსახურდიას სახელობის მემორიალი გაიხსნა, გულში ჩამწვდომი სიტყვა ბრძანა. შემდეგ შეგვკრიბა, შუაში ჩაგვიდგა და ერთობლივი სურათი გადავიღეთ. სწორედ მას ჰქონდა უფლება ცენტრში დგომისა და პირველობისა.

ჩვენო მამანტი!

არ გემშვიდობები, რადგან თქვენ სულიერად არსად არ მიდიხართ, მარად რჩებით თქვენი ნაღვაწით თაობათა მეხსიერებაში.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ,
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

ილორი

არასაზავო ფიქრები მილევადობის მიჯნასთან

„ჰრქუა უფალმან მოსეს: ხილვით ვიხილე მე
ძვირი ერისა ჩემისა, რომელ არს
ეგვიპტეს შინა“...
გამოსვლათა – 3,7;

„სადაც სიყვარული არაა, იქ
ჯოჯოხეთია!.“.
წმინდა მამა გაბრიელი;

„ამას, იმას, რომ ხელში ხმალი უნდა
გვეჭიროს,
ჩვენ კი ხმლისა წილ...“
მუხრან მაჭავარიანი;

„ო, რა სევდიანი ჩავალ სამარეში“...
ანზორ სალუქვაძე

ცხადია, თაობა, რომელიც ქართველთა გონითი განფენის სივრცეში ქართველი ერის ჩასანაცვლებლად შემოგვემუხლუხა, არაა დროსა და სივრცეში გასაგნებული ეროვნული შინაარსი. უფრო მკაფიოდ რომ ვთქვა, ის არ გახლავთ „ოქროს საწმისის“, კირბების, ქართული ასომთავრულის (ნუსხურის, მხედრულის), „ლილეოს“, „კუჩხი ბედინერის“, „ჩაკრულოს“, სვეტიცხოვლის, „ვეფხისტყაოსნის“, ვარძიის, იშხნის, ოშკის, ბანას, მოქვის, დრანდის, სუმელას, ქვაომხაზეს, დუდიკვათას სულიერი მემკვიდრე. პირიქით, იგი ამ სიწმინდეებისადმი მიმდგომელი ხვანჯარჩახსნილი გახლავთ. მისთვის ამ წუთშიც „თბილისი მაინც-დამაინც საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ინტერნაციონალური ცენტრია...“ (ნოე ჟორდანია).

ამდენად, ის, რომ ერს უნდა ჰქონდეს თავისი პირადი სივრცე, ხოლო ეს სივრცე გახლავთ საკუთარი მიწა (მამული), – ნეოტროციკისტული ანუ ლიბერასტული თვითმოძიებისათვის „ჯერ არგაგონილ თავხედობად“ ქვითკირდება.

აქედან გამომდინარე, აზრი არა აქვს, მაგრამ, კი ბატონო, რაკი აიჩემეთ, ჰკითხეთ ამ ჯოგურ სიმრავლეს, – რა არის მისი, როგორც ქართველთა გონითი განფენის სივრცის ერთ ნაწილში დღეს ჩასარეველიანებული სიცხადის (ფაქტის) მიზანი: გამოაპუროს ყოველთა ქართველთა გიორგიანული და ქრისტესმხედრული ვინაობა, გაინიშანსვეტოს შინერს-ვაშინერსის (ღვთივნებადართულისა და ღვთივნებადაურთველის) წესრიგი, აღმავალ, უწყვეტ თანმიმდევრულობად გადასცეს ეს ღირებულება შთამომავლობას თუ ევრო-ატლანტიკური რასიზმის, გნებავთ აგრესიული გლობალიზმის თითგაშვერათა მიხედვით განლაგებულ მიზანსცენათა მასად დაიდგინოს თავი, ანუ მართვადი ქაოსის გამხვავიანებელი ბრბო გახდეს.

ასეთი მრისხანეა ქართველი ერის ყოფნა-არყოფნისათვის მისაგებებელი კითხვა, რომლისთვისაც პასუხი ქვეყანას არ გააჩნია, რადგან წინამდებარე თაობის მომახვილებას, ვაგლახ, რომ წინ უძღოდა ქართული ზეპურობის განადგურება (როდესაც საუბარია ზეპურობაზე (ელიტაზე), იგი უნდა შეუდარდეს იმ სამას-სამასობას („ვეფხისტყაოსანი“), რომელმაც ქაჯეთის ციხე უნდა აიღოს, ასევე სამას მწბეველზე მიგვითითებს ძველი აღთქმა („მსაჯულთა“ – 7,6), რადგან სწორედ ამ გამორჩეულობამ და არა მასამ უნდა უზრუნველყოს ღვთივსათნო საქმეთა აღსრულება.

განადგურება მეთქი, გითხარით. სწორედ ადამიანთა თავისუფლების მომიზეზებით მოიშალა ერის მარადიულმყოფი თვითმოძიება: განადგურებულია ან მიზნობრივადაა გაუკუღმართებული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, მისი დარგობრივი ინსტიტუტები, სახალხო განათლება, კულტურა, ხელოვნება და ა.შ.

წუთშესვენება: ცხადია, როდესაც საზოგადოების ერთი ნაწილი ირაზმება ერის ისტორიის გასანადგურებლად, ამ დარაზმულობისათვის ზურგის ქარს უზრუნველყოფს ამავე საზოგადოების მეორე ნაწილი თავისი გულგრილობით, დოყლაპიობითა და წინგაუხედაობით.

დიახ, ერის ისტორიას ყოველდღე, ყველა მიმართულებით, ნებისმიერ დარგში ვანადგურებთ: ასე მაგალითად, ეროვნული რადიოს 91 წლიანი არქივის გადარჩენას, იმისათვის, რათა ქვეყანას საგაკვეთილოდ დარჩეს ამ მიმართულებით თავისი საქმიანობის ისტორია, სჭირდება 5 მილიონი ევრო სამი წლის განმავლობაში (ვიმოწმებ საზოგადოებრივი რადიო-1-ის გადაცემას). აქ უნდა აღინიშნოს, რომ სამი წლის შემდეგ, გარდა იმისა, რომ არქივი გადარჩება, ასეთი საქმისათვის შეძენილი ახალი აპარატურა საგრძნობლად შეამცირებს მაუწყებლობის დანახარჯებს (დენი დაიზოგება და ა.შ.).

სამწუხაროდ, კულტურის სამინისტრო ამ საშვილიშვილო საქმის მოგვარების ნაცვლად, ამ ოდენობის თანხას უაზრო, უგემოვნო და არაფრისმომცემ კონცერტებში ხარჯავს.

* * *

ასეთი ვითარების გამო დღეს ქვეყანაში ჩასანგრებული საინფორმაციო სამსახურები ასახავენ არა ქართველი ერის სახალხო ნებას, არამედ ამ ე.წ. უფლებადამცველების მიერ ქვეყნის უსაფრთხოებაზე მიმიზნებულ ქვეშქვეშობებს უპრიალებენ საოკუპაციო ჩექმებს.

დიახ, ამჟამად საქართველოში დისლოცირებული ნამესტნიკური ხელისუფლება სახელმწიფოს ზრუნვის სუბიექტად ადგენს ევრო-ატლანტიკური რასიზმის საოკუპაციო კონტინგენტს, მის აგენტურას, აქტივისტებს, პროპაგანდისტებს, აგიტატორებს, დივერსანტებს, ჯაშუშებს და ა.შ.

რა თქმა უნდა, ასეთი მზრუნველობა „ქართულ“ სახელმწიფოში ქართველ ერზე არ ვრცელდება!...

* * *

ამდენად, მოცემულობა, რომელიც „ჩვენი“ საზოგადოების ეგოპარანოიკულ მდგომარეობასა და მისი უკურნებელი სენის გამოვლენაზე აღაღადდა, ცალსახად ადასტურებს, რომ ქვეყანა კოლექტიური გადაგვარებისაკენ მითოხარიკობს. უფრო მეტიც, საზოგადოება საყოველთაო სიამოვნებას ერთბაშად იღებს (ბოდიში, მინდოდა, მეთქვა ორგაზმს ჯოგურად განიცდის-მეთქი) ქვეყნისათვის ძირგამომთხრელი საქმიანობით. რაც მთავარია, ასეთ ძალისხმევაში მას, სამწუხაროდ, გააჩნია მხარდაჭერაც და ელექტორალური ეფექტიც.

ევრო-ატლანტიკური რასიზმის მიერ საქართველოში შემოდისლოცირებული ახალი ნაცია, რომელიც ენაცვლება მილევად მდგომარეობაში შეტყუებულ ქართველობას, თავისი რაობისა და ვინაობის შესაბამისად შეიძლება, იწოდებოდეს ლგბტ-ურ თემად (ლგბტ თემი), რომელსაც სახელმწიფო ენად ჩიქორთული ინგლისური დაუდგინდა, ხოლო შიდა საურთიერთო საშუალებად ბარბარიზმებზე შეგორებული და შიგადაშიგ ქართულ ლექსიკოვანი სიგნალებით გახმოვანებული გასაყვირება მიეჩეჩა.

ასეთი სიმრავლისათვის „პატიოსნება“, „სირცხვილი“ ბგერათა უშესატყვისო რაოდენობა გახდა, ამიტომ, საითაც გაიხედავ, უხამსობა ცხოვრების წესად იქცა.

ე. წ. თავისუფლები, რომელიც ერის (ან პირადი) ლასკარიდან აძევებს ზნეობას და დროის სანაგვიდან მოუძღვება უტიფრულ აულაგმაობას, ის თავისუფლება კი არა, ბოროტებაა. ხოლო ბოროტება დიდმპყრობლობათა თანამდევი თვისება იყო, არის და იქნება მუდამ.

თვითუარმყოფი შეგნებით უკვე არაერთი თაობა გამოინკუბატორდა ქვეყანაში, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს საკუთარ ვინაობაზე. არც საგანმანათლებლო ინსტიტუციები, არც კულტურის დაწესებულებები, აღარც ჩასაფრებული ძალებისაგან ხელშეწყობილი და დაკვალიანებული ლიტერატურა (პროლეტკულტის მსგავსი კრებითობა), ამის შესაბამისი რადიო, ტელევიზია, პრესა და ა.შ. ქართველი ერის სულიერებას დედანში არ ასაჯარისებს, – ამის ნაცვლად პროვოკაციული „ახალი ნაციის“ ძირგამომთხრელობაა გაოთხივკუთხებული საქართველოს ნებად. სამშობლოსთვის თავგანწირვა ამ ხროვულ ფეხაწყობაში რეგრესს ნიშნავს და ქილიკის საგანი გახდა. საზოგადოებისათვის თავს მოხვეულია საკუთარ ქვეყანასთან სახაზინოხელშეკრულებითი ურთიერთობა, ცნება „მშობლიური“ თანდათან ქრება თაობის ცნობიერებიდან. ბოლშევიკურ ათეიზმს ჩაენაცვლა ე. წ. დემოკრატიული ათეიზმი, რომელიც გამძვინვარებული ებრძვის გიორგიანელობას (მართლმადიდებლობას).

ევრო-ატლანტიკური რასიზმი საქართველოში დროის დაუკარგავად ითადარიგებს საპროვოკაციოდ ასათარეშებელ ნედლეულს. ხელოვნურად იქმნის „საუფლებადაცვო“ მიზეზებს და იზუსტებს საცეცხლე წერტებს მათი „დაცვის“ საბაბით. ასეთი ხელგამოღების ნამდვილი მიზანი ჩვენი ქვეყნის პირწმინდა დენაციონალიზაცია გახლავთ.

ამავე დროს, მიზნობრივად ფაბრიცირებული თაობისთვის (ახალი ნაციისთვის), რომელიც მკაცრი თანამიმდევრულობით ენაცვლება მილევად მდგომარეობაში მოაქაიქე ქართველობას, სრულიად არასაჭირო შინაარსად იქცა მშობლიურობა, სიკეთე, ზნეობა, თანადგომა, სულიერთა დაცვა, ბუნებაზე ზრუნვა, მწარმოებლობა... ეს ყველაფერი ამ ჯოგურ სიმრავლეში აბსტრაქტულ ღირებულებათა ჩამონათვლად გამოცხადდა.

უფრო მეტიც, წინამდებარე თაობა დაჯერეს, რომ ხალხი, რომელიც ქართველთა გონითი განფენის სივრცეში ცხოვრობდა (ე. ი. ქართველობა) და რომელთაც ისინი ენაცვლებიან, ერთი მდარე ეთნიკური სიმრავლეა, რომელსაც არაფერი შეუქმნია კაცობრიობისათვის საყურადღებო.

ერის ვინაობისა და მისი ღირებულებებისადმი აგდებული, უპატივცემლო, უვიცი და მიმდგომლური დამოკიდებულების ნიმუში იყო 2016 წლის 18 ნოემბერი, როდესაც მეცხრე მოწვევის საქართველოს პარლამენტის სესიის გახსნაზე ქვეყნის პრეზიდენტმა (ასევე სხვებმა) თავის 15 წუთიან გამოსვლაში მკერდზე მჯიღის კვრით უდასტურა ევრო-ატლანტიკურ რასიზმს ერთგულება, ის კი არადა, პირობა დადო, რომ დაიცავდა მედიის თავისუფლებას (რაც სინამდვილეში აგრესიული გლობალიზმის პროპაგანდისტული მხარდაჭერის უზრუნველყოფას ნიშნავდა), სამაგიეროდ კრინტი არ დაუძრავს იმაზე, რომ დუხჭირი ცხოვრების გამო, კინაღამ მილიონ ნახევარი ქართველი საზღვარგარეთ გაიხვეწა და უიაფეს მუშახელად იქცა. არც უხსენებია, რომ აღსადგენი არის ქვეყნის მორღვეული და ხელყოფილი საზღვარი. ისე დაიჭირა თავი, თითქოს მას არ ეხებოდეს ცხინვალის მხრიდან ოსი და რუსი მეკობრეები რომ ყოველდღე იტაცებენ უმწეო ქართველებს, მათ შორის ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს...

ეს კიდევ რაა, 25-26 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის წინაშე დასამტკიცებლად წარსდგა საქართველოს მთავრობა. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა თავის პროგრამულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს დღე ქალთა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული დღეა. მისი სიტყვიდან ისე გამოვიდა, თითქოს საზოგადოებაში ქალსა და ვაჟს შორის მომხდარი ზოგიერთი ყოფითი გაუგებრობა ლამის ქართველთა „დრომოჭმული“ შინაარსის თანამგზავრი მოვლენაა.

არადა, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს რომ სცოდნოდა თუ რა ღირებულებაა ნანაგე, თოლიგე და შურიგე, შინერსი ან ვაშინერსი, ქართული ცეკვების არსი (ქალისადმი მოწიწება) და საქართველოში ქალის კულტი საერთოდ (სახეზოგადობა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“) ან თავი ეგრძნო ქართველი ერის დაკვეთის შემსრულებლად, იგი ყოველივე ამას თავის გამოსვლაში აღნიშნავდა და ბრმად არ აუბამდა მხარს იმ დღეს გარეგანი ძალებისაგან დაფინანსებულ ე.წ. უფლებადამცველების უვიცობაში ხვიხვინსა და დაგეგმილ პროვაკაციებს, რომლებიც ქალის დაცვის ნიღაბქვეშ ცდილობდნენ ქართველი ერისათვის დაებრალებინათ ქალთა დისკრიმინაცია.

„ვეფხისტყაოსანი“ ვახსენე წეღან: იუნესკოს ეგიდით 2016 წელი გამოცხადებულია შოთა რუსთაველის წლად (850 წელი შეუსრულდა).

ქვეყნის ხელისუფლებას თითიც არ გაუნძრევია ამ თარიღის აღსანიშნავად. ეტყობა, ქვეყნის ხელისუფლებაში თითქმის არავინ იცის ქართული სულიერების (ლიტერატურის, ხელოვნების) მსოფლიო მნიშვნელობისა და საკაცობრიო ღირებულებების შესახებ, თორემ აქციას „არა ქალზე ძალადობას“ მიზნად ქალზე ზრუნვა რომ ჰქონოდა (და არა ქართველი ერის დადანაშაულება ქალებზე ძალადობაში), იგი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ ქალებისადმი ღვთივსათნო პატივმიგების მაგალითებს სათანადო გულმოდგინებით წარუჩენდა მსოფლიოს და თანაც უგაკვეთილებდა იმაზე, რომ გიორგიანელობა თავისთავად ნიშნავს ქალის შეუგინებლობას.

დიახ, დიახ, ასეთ შემთხვევაში როგორმე მიხვდებოდა და იტყოდა, რომ თუ ქართველთა ვინაობის შინაარსს გარედან არ დაანაგვიანებენ, ეროვნული თვითწესრიგი თავად მოაგვარებდა ადამიანთა ყოფით სისუსტეებს.

ეს ერთი, მეორეც: ეს, რომ სცოდნოდა, ე. წ. უფლებადამცველებს ამასაც ჰკითხავდა: განა ბევრია ისეთი ენა მსოფლიოში, რომელიც ქალბატონს ნანაგედ, შურიგედ, თოლიგედ და ა.შ. მოიხსენიებს?!

ამით ორ რამეს გააკეთებდა – სათანადო პატივს მიაგებდა შოთა რუსაველის 850 წლისთავსაც და ქალზე ძალადობასაც, – ამ მხრივ ჩვენი წინაპრების გამოცდილების მაგალითით, წინ აღუდგებოდა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენს სინამდვილეში და ჩვენს თვალწინ, კინაღამ ჩვენი ხელშეწყობითაც კი, გაჩნდა სრულიად ახალი საზოგადოებრივი (ეთნიკური) ერთობა – ლგბტ თემი, რომელმაც ქვეყნის დირექტორად თვითმარქვიად დაიდგინა თავი.

აქედან გამომდინარე, ამ თემის წევრი ნებისმიერი ტრანსგენდერი, ვთქვათ ჯიჯი, – ამ დირექტორატის კვალიფიკაციით სექს მუშაკი, მათ ბაგეებზე დაახლოებით ასე ჟღერს: საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, მედიცინის მუშაკი და ა.შ.

როდესაც სახელმწიფოს მართავს არა ეროვნული ხელისუფლება, არამედ ნამესტნიკური ადმინისტრაცია, იქ ქვეყნის გამშინაარსებელ მოსახლეობას პატივს არ სცემენ და სახალხო ნებას კი არ ასრულებენ, ლგბტ-ური თემის დირექტივების აღსასრულებლად ისაქმებენ თავს, რაც გამოიხატება არაკეთილთვისებიან, უფრო სწორად, ავთვისებიან საწყისებზე „დიადი“ მომავლის აქვითკირების მცდელობას.

ასეთ დროს მიზნობრივი საზოგადოება (ჯოგური სიმრავლე) მიზეზს ეძებს, რათა ქართველი ერი დამნაშავედ დაადგინოს და გაასამართლოს ისე, თვითონ რომ მართალი აღმოჩნდეს ჟამთაბერთან.

ამასთან ერთად, ისიც დაუფარავად უნდა ითქვას, რომ ასეთი მდგომარეობა ჩვენი საზოგადოების დანაშაულებრივი გულარხეინობით, წინდაუხედაობითა და ანგარებით მოგვახვიეს თავს.

ეს არის ასე და ამას გახარებული კი არ ვამბობ, მტკივა, მაგრამ ის შემთხვევა გახლავთ ეს, როცა დუმილით ღმერთი გაიცემა, ქვეყანა პარტახდება და მოყვასი ნადგურდება: ამ დღეებში ე. წ. ახალი ნაციისა და ვითომ უფლებადამცველების მთელი „ადამიანთმოყვარეობა“ შემოისაზღვრა მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის მოთხოვნაში.

ამგვარ მოთხოვნებს საფუძვლად გასიგრძეგანებული განსჯა კი არ უდევს, რომელსაც აწონილ-დაწონილი აქვს შედეგი, არავითარ შემთხვევაში!... წინდაუხედავი ვნება განაპირობებს ამ თავაწყვეტას.

ეს ისეთ ხასიათს ატარებს, კინაღამ პირდაპირ მოითხოვენ, ნარკომანს წითელი ხალიჩა დავუგოთ და „ჩემო ბატონოთი“ მივმართოთ.

ის, ვინც ეჭვით შეხვდება ამ მოთხოვნებს, ან დასაბუთებულ აზრს გამოთქვამს ამის მავნებლობაზე, იგი „საბჭოთა გადმონაშთად“ მიიჩნევა.

ეს ძალები თავზე ხელადებით ცდილობენ სქესობრივი, ე.წ. სარწმუნოებრივი თუ ეთნიკური უმცირესობის ნიღბით შემოსეული ძირგამომთხრელობა სასიცოცხლო მნიშვნელობის განაწესად გვიქციონ.

მოთხოვნა – სახელის გამტეხი ცილისწამების გავრცელება, სიცრუის გამრავალცალება (ტირაჟირება) და მისთანათა დასჯის შესახებ ცხადდება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვად.

სერგი საჯაია,
გაგრძელება იქნება

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲘᲛᲐᲛᲠᲛᲐ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ ᲑᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲐᲠᲐᲙᲘ ᲐᲩᲣᲥᲐ

ოდესის ყოფილ გუბერნატორმა, მიხეილ სააკაშვილმა ტელეკომპანია **„Zik"**-ს განუცხადა, რომ სიმამრმა ჰოლანდიაში ბინა და აგარაკი აჩუქა. მან ასევე აღნიშნა, რომ ბინა მეუღლის, სანდრა რულოვსის მშობლიურ ქალაქშია და სააკაშვილის განცხადებით, იქ ოჯახი იმ შემთხვევაში გადავა, თუ სხვაგან წასასვლელი არ ექნება.

„როდესაც საქართველოში ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ჩემი ქონება დააყადაღეს. ჩემმა მეუღლემ მითხრა, რომ ჩვენ შეიძლება ერთ დღეს ქუჩაში გაგვაგდონ. რა უნდა ვქნათ? მაშინ სიმამრმა თქვა – „მაშინ ჰოლანდიაში ჩამოხვალთ", – განაცხადა ოდესის ყოფილმა გუბერნატორმა.

თავს უფლებას მივცემთ, ამ ინფორმაციას დავამატოთ ის, რასაც სააკიანცი ცოცხალი თავით არასოდეს აღიარებს. კერძოდ, უტყუარი ფაქტი გახლავთ ის, რომ ვიდრე სააკიანცი საქართველოს პრეზიდენტად ამხედრდებოდა, რულოვსების ოჯახი ჰოლანდიაში ერთობ მოკრძალებულად ცხოვრობდა და სახლების და აგარაკების კი არა, დუსტის შესაძენი ფული არ ჰქონდათ, რისთვისაც ჩაქუჩით დასდევდნენ ბაღლინჯოებსა და ტილებს. რულოვსების გამდიდრების პროცესი დაიწყო მიშას გაპრეზიდენტების დღიდან, როცა სანდრამ და მისმა ძმამ კაპიკებად იყიდეს შემდგომში **"სანდრაბუსებად"** წოდებული ამორტიზებული ავტობუსები და მილიონებად მიჰყიდეს იგი საქართველოს სატრანსპორტო კომპანიებს. ისიც ცნობილია, რომ სანდრამ დიდი ფული იშოვა ადამიანის ორგანოების ვაჭრობით და ეს ამაზრზენი პროცესი დღესაც გრძელდება.

ამიტომ, სიმამრმა სააკიანცს იმ ქონების ნაწილი დაუბრუნა, რაც მისივე ლობირებით ნაშოვნი შავი და დამადლებული ფულით იყიდა!

იმედია, რომ ამ დაშნაკ ნაძირალას მალე ჩაიგდებს ხელში საქართველოს მართლმსაჯულება და მერე სააკიანცი თავად მოგვიყვება, თუ როგორ მდიდრდებოდა მისი წყალობით ერთ დროს გამოღატაკებული სანდრას ოჯახი, რომელიც ახლა თავს უფლებას აძლევს, რომ უხვად ურიგოს ხალხს საჩუქრად საცხოვრებელი სახლები და აგარაკები!

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ – ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲖᲞᲠᲝᲛᲗᲐᲜ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ

ჩვენი ძირითადი მიზანია, რომ „გაზპრომთან" მოლაპარაკებები დასრულდეს ჩვენი ინტერესების მაქსიმალური დაცვით, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი გახარიამ ქართულ მხარესა და **„გაზპრომს"** შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

„ჩვენი ძირითადი მიზანი გახლავთ, რომ ეს მოლაპარაკებები დასრულდეს ჩვენი ინტერესების მაქსიმალური შესაძლებელი დაცვით. მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ გვჭირდება მოწოდების ბაზრების დივერსიფიკაცია. მითუმეტეს, რომ იყო რამდენიმე მცირე შემთხვევა, როდესაც მოწოდებაში გარკვეული პრობლემები, რისკები იქმნებოდა. ამიტომ საჭიროა, რომ ჩვენ ყველა მხარეს ვესაუბროთ. ჩვენი ძირითადი ამოსავალი მიზანი უნდა იყოს, რომ ჩვენი ბაზარი იყოს დივერსიფიცირებული. ჩვენ გვქონდეს მაქსიმალურად ობიექტურად დადგენილი ფასი და შესაბამისად, ამან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ეკონომიკის განვითარებას. ეს არ გახლავთ მხოლოდ სოციალური მომენტი, ჩვენს ეკონომიკას სჭირდება ხელსაყრელი ენერგია", – განაცხადა გახარიამ.

კითხვაზე – შესაძლებელია თუ არა ქართული მხარე დათანხმდეს **„გაზპრომის"** შეთავაზებას, რომელიც სომხეთში გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ, საქართველოსთვის ფულად ანაზღაურებას გულისხმობს, ეკონომიკის მინისტრის თქმით, ყველაფერი შესაძლებელია იმ მიზნის მისაღწევად, რომ ბაზარი იყოს დივერსიფიცირებული, ფასი იყოს საბაზრო და ამ ხელშეკრულებამ ხელი შეუწყოს ეკონომიკის განვითარებას.

როგორც ცნობილია, სომხეთში გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ, ქართული მხარე **„გაზპრომისგან"** გატარებული ბუნებრივი აირის მთლიანი მოცულობის 10%-ს იღებს. შესაბამისი ხელშეკრულება ერთწლიანია და ამჟამად მის განახლებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები მიმდინარეობს. **„გაზპრომის"** წარმომადგენლები ქართულ მხარეს ტრანზიტის სანაცვლოდ ფულად ანაზღაურებას სთავაზობენ. **„გაზპრომის"** წარმომადგენლებთან 2 შეხვედრა უკვე გაიმართა, მინსკის შეხვედრაზე კი საქართველოსათვის ხელსაყრელი ხელშეკრულება გაფორმდა.

ეკონომიკის მინისტრი ასევე გამოეხმაურა ეროვნული ვალუტის კურსთან დაკავშირებულ პრობლემებს.

„რყევები არის მოკლევადიანი, გრძელვადიან ნაწილში ჩვენ არ გვაქვს სერიოზული მიზეზები იმისთვის, რომ ლარის კურსი უფასურდებოდეს", – განაცხადა გიორგი გახარიამ.

„გრძელვადიან პერსპექტივაში ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ლარის კურსი გამყარდება, თუმცა კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ ამისთვის გასაკეთებელია ბევრი რამ. პირველ რიგში, ეს გახლავთ სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რომლის განსახორციელებლად შექმნილია 4-პუნქტიანი გეგმა", – განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, სწრაფი ეკონომიკური ზრდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა – ეს ის მექანიზმები, რომელიც ეკონომიკის სტრუქტურული პრობლემების გასწორების საშუალებას იძლევა.

„ჩვენ გვაქვს ძალიან ცუდი სავაჭრო ბალანსი, რომელიც გვერგო მემკვიდრეობით და ამ სავაჭრო ბალანსის გასწორება ერთ დღეში, ერთ და ორ წელიწადში შეუძლებელია. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჩვენი 4-პუნქტიანი გეგმის ძირითადი მიზანია, მივაღწიოთ სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, გავასწოროთ ჩვენი სავაჭრო ბალანსი და შვქმნათ ისეთი ბიზნეს-გარემო, რომელიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაწილში კიდევ უფრო პროგრესული იქნება", – აღნიშნა გახარიამ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐ: ᲡᲐᲜᲓᲠᲐ �პᲔᲢᲠᲔ ᲪᲐᲐᲕᲐᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲛᲝᲫᲦᲕᲠᲐᲓ ᲛᲝᲘᲮᲡᲔᲜᲘᲔᲑᲡ...

"პეტრე ცაავა ყოფილი პრეზიდენტის, უფრო კი მისი მეუღლის ახლობელი და ადრე განსაკუთრებული მფარველობით გამორჩეული იერარქი იყო", – ამის შესახებ ჟურნალისტი ირაკლი კორძაია სოციალურ ქსელში წერს.

"ბუნებრივია, რომ შური, თვალთმაქცობა და ვერცხლთყვარება არის ყველგან. ყველგან სადაც ადამიანია... მეუფე პეტრეს შორენა თეთრუაშვილის გავლენა (რაც უდაო ფაქტია) მხოლოდ მას შემდეგ გაახსენდა, რაც კომფორტის ზონას დაშორდა. განვმარტავ თუ რას ვგულისხმობ – პეტრე ცაავა ყოფილი პრეზიდენტის, უფრო კი მისი მეუღლის ახლობელი და ადრე განსაკუთრებული მფარველობით გამორჩეული იერარქი იყო (თავად სანდრა მას სულიერ მოძღვრად მოიხსენიებს). სააკაშვილობისას პეტრე ცაავას გავლენა საპატრიარქოში საგრძნობი იყო. განაგებდა გარკვეულ მიმართულებებს, მათ შორის, საპატრიარქოს ტელევიზიას. თუ რა ხდებოდა იმ პერიოდის პენიტენციურ სისტემაში, ყველამ იცით. სწორედ პეტრე ცაავა იყო ერთ-ერთი, ვინც დაუბრკოლებლად შედიოდა ყველა საპყრობილეში (მისი და ბაჩო ახალაიას სენტიმენტები ცალკე თემაა), ვითომდა ტუსაღების სანუგეშოდ, მათ სულიერ საზრდოზე საზრუნავად. ვინც პენიტენციურ სისტემაში ჩახედულია, იცის, რომ ამას უანგაროდ ნამდვილად არ აკეთებდა. უბრალოდ საჭირო იყო საჩვენებელი მეუფე, რომელიც ყოველთვის დაადასტურებდა, რომ სააკაშვილის გულაგებში სრული სიმშვიდეა, პატიმრები თავს კარგად გრძნობენ. როდესაც სასჯელადსრულების სამინისტროში დავინიშნე, შემთხვევით შევხვდით გლდანის ციხეში. ძალიან მოკლე კითხვა დავუსვი, დავუსვი ყველა წესის დაცვით – როგორც რიგითმა ქრისტიანმა მეუფეს (რიდით და მოწიწებით). საპასუხოდ ზურგი მაქცია და სწრაფი ნაბიჯით კიბეზე დაეშვა. მე არასოდეს შევხებივარ ამ თემას საჯაროდ. მე ბოდიშს გიხდით (განსაკუთრებით მორწმუნე საზოგადოებას), რომ დღეს მიწევს ამ თემაზე საუბარი. შეიძლება როგორც ყოფილ სტიქაროსანს და როგორც დახვრეტილი მიტროპოლიტის შვილთაშვილს (რომლის კანონიზაციაც მომავალ წელს ჩვენთვის არამეგობრულ ქვეყანაში მოხდება), ეს არ უნდა მეკადრა. მაგრამ, გასკდა გული ამ სულიწმინდით მოვაჭრეთა ყურებაში!" – წერს კორძაია.

ᲒᲔᲚᲐ ᲖᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ: ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲐᲓ ᲠᲩᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲰᲙᲚᲔᲑᲘᲐ!

ჟურნალისტი გელა ზედელაშვილი სოციალურ ქსელში წერს:

„1992 წლის 6 იანვარი. ზუსტად 25 წელიწადი გასულა მას შემდეგ. არ ვიცი, ეს ბევრია თუ ცოტა, მაგრამ ტკივილი ტკივილად რჩება, არაფერი მოჰკლებია!

6 იანვარს საქართველოს პირველი პრეზიდენტი გააძევეს თბილისიდან. ავაზაკებმა თითქოს კორიდორი გაუხსნეს, მაგრამ სანაპიროზე ტყვიები დაუშინეს. მანქურთებს მაინც არ უნდოდათ, რომ ზვიად გამსახურდია ცოცხალი დარჩენილიყო. არ უნდოდათ, რადგან მშვიდად მაინც ვერ დაიძინებდნენ!

6 იანვარს კახეთში წავედი... როცა დიდუბეში ნავთობით დატვირთული მატარებელი ააფეთქეს და ალმალამის ჩემი სახლის ფანჯრებამდე უწია, ბავშვები გავარიდე თბილისს.

შუაღამისას ტელევიზორში გამოდის ასევე მანქურთი დიქტორი, თენგიზ ნათაძე და გახარებული აცხადებს: დიქტატორ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაემხო, საქართველო თავისუფალიაო, ამიერიდან დემოკრატიული მთავრობა გვეჭოლებაო. წვერმოშვებულ ნათაძეს „ტელეგრეიკა" ეცვა, საველე პირობებში მუშაობდა, ალბათ დიდი ხნის დაუბანელიც იყო!

გააგდეს, გააძევეს, სიკვდილი მიუსაჯეს პირველ პრეზიდენტს, რომელიც სულ იძახდა: ისინი თუ ტყვიებს გვიშენენ, ჩვენ ვარდები ვესროლოთო. დიახ, ასეთი „დიქტატორი" გახლდათ ზვიად გამსახურდია და მგონი ეს იყო მისი მთავარი სისუსტე. როგორ შეიძლება, მოღალატეები ვარდებით მოათვინიერო?!

ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა იწინასწარმეტყველა: ნუ იზამთ ამას, ნუ ააოხრებთ საქართველოს, ნუ გადაუდგებით კანონიერ ხელისუფლებას, თორემ ძმა ძმას გადაეკიდება, მეზობელი – მეზობელს, ნათესავი – ნათესავს და რაც მთავარია, სიტუაციის გამოსწორებას, ქვეყნის ფეხზე დაყენებას ათეული წლებიც არ ეყოფაო!

აკი ასეა? აკი ვეღარ ვდგებით ფეხზე და ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვართ გადაკიდებულნი?!

6 იანვარს, პირადად ჩემს ცხოვრებაში, რაღაც დამთავრდა, რაღაცა მოკვდა... 25 წელიწადი გავიდა და ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებ, რა მოკვდა... არ ვიცი, იქნებ საქართველო მოკვდა და ამიტომაც ვტრიალებთ ერთ წრეზე უაზროდ?!

ერთი რამ დანამდვილებით ვიცი – ილიას მკვლელობის შემდეგ კიდევ ერთი მძიმე ცოდვა წამოვიკიდეთ, რომელსაც ვეღარასოდეს გამოვისყიდით. ვიცი, მე და თქვენ არ მიგვიძღვის წვლილი ამ ცოდვაში, მაგრამ ახლა აღარ აქვს მნიშვნელობა, მაინც დამნაშავეები ვართ!

გვაპატიეთ, ბატონო პრეზიდენტო, თუკი ეს შესაძლებელია..." – წერს გელა ზედელაშვილი.

ილორი

ბარათაშვილის პოეზია – ლირიკაში შექმნილი ქართველი ერის პასპორტი – რას გვკარნახობს თუ გვავალდებულებს იუნესკოს აღიარება-გზავნილი?

"იუნესკომ" ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო თარიღი – დაბადებიდან 200 წლისთავი 2017 წლის საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურული მოვლენების ნუსხაში შეიტანა.

"დარწმუნებული ვარ, მისი იუბილეც ისევე ცუდად ჩაივლის, როგორც ჩაიარა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილემ" "ჩვენ რომ ევროპელები ვართ, ამის ნიშანია ის პატარა წიგნი, რომელიც შეიცავს ბარათაშვილის შემოქმედებას".

"ნიკოლოზ ბარათაშვილის გაგებას დასჭირდა ილია ჭავჭავაძის – ქართველი ხალხის მამისა და შემოქმედის გენია".

2017 წლის 4 დეკემბერს ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ქართველ პოეტს, ქართული ლიტერატურის ხელახლა გამცოცხლებელს, რეფორმატორსა და მოაზროვნეს ნიკოლოზ ბარათაშვილს დაბადებიდან 200 წელი უსრულდება. **"იუნესკომ"** ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო თარიღი – დაბადებიდან 200 წლისთავი 2017 წლის საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურული მოვლენების ნუსხაში შეიტანა.

ვინ არის ნიკოლოზ ბარათაშვილი, რა მნიშვნელობა აქვს მის შემოქმედებას ქართველი ერისთვის და მსოფლიოსთვის და რას გვკარნახობს თუ გვავალდებულებს **"იუნესკოს"** აღიარება-გზავნილი? – ამ კითხვით პოეტის შემოქმედების უსაზღვროდ დამფასებელსა და შემფასებელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატსა და პოლიტიკოსს ლ. ბერძენიშვილს მივმართეთ:

– ნიკოლოზ ბარათაშვილი მსოფლიოს მასშტაბის შემოქმედია, რაც იმას ნიშნავს, რომ მარტო ჩვენ არ გვეკუთვნის. ეს გამოიხატა იმითაც, რომ ბარათაშვილის მთარგმნელებში ნობელის პრემიის ლაურეატი პოეტები არიან, თანაც ერთი კი არა, – რამდენიმე, მათ შორის – ბრწყინვალე მთარგმნელები: ბორის პასტერნაკი, სალვადორე კვაზიმოდო და რედიარდ კიპლინგი. და ეს პოეტი აბსოლუტურად არ არის დაფასებული საკუთარ სამშობლოში.

დარწმუნებული ვარ, მისი იუბილეც ისევე ცუდად ჩაივლის, როგორც ჩაიარა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილემ იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებას წარმოდგენა არ აქვს, რა არის კულტურა – ზოგადად. მინდა გითხრათ, რომ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი არსებობს თბილისში.

თუ ვინმე ნამყოფია იქ, ეცოდინება, როგორ სცემს პატივს საქართველო თავის უდიდეს პოეტს – ეს არის ორი ოთახი, სადაც არ არის მისი არც ერთი ნივთი და ეს ოთახები გამოყენებულია იმისთვის, რომ გამოფენები და კონცერტები მოაწყონ. სამუზეუმოდ არ არის შეცვლილი არც სიტუაცია, არც ფილმია მასზე გადაღებული, არც ნივთებია შეგროვილი. ბავშვები რომ მიიყვანონ, ვერაფერს უჩვენებენ, უბრალოდ, გულგატეხილები გამოვლენ იქიდან. ამ სახლში, სადაც ცხოვრობდა ნიკოლოზ ბარათაშვილი, სახლ-მუზეუმს მარტო ორი ოთახი ეკუთვნის, დანარჩენში ჩვეულებრივი მოქალაქეები ცხოვრობენ. სახელმწიფომ ეს ტერიტორია არ გამოისყიდა და ამ უდიდესი პოეტისადმი პატივისცემა არ გამოხატა.

რუსთაველის იუბილეზე პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმა დავალება მისცა კულტურის მინისტრს და განათლების მინისტრს, მაგრამ მათ ეს დავალებაც კი არ შეასრულეს და ამასთან დაკავშირებით არც არაფერი გააკეთეს. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ბარათაშვილზეც იგივე იქნება, რადგან მათ ბარათაშვილი რუსთაველის დონისადაც არ მიაჩნიათ.

სალვადორე კვაზიმოდომ კი თარგმნა, კიპლინგმა კი თარგმნა, პასტერნაკმა კი თარგმნა, მაგრამ საქართველოს არ ესმის, ვინ არის ნიკოლოზ ბარათაშვილი.

საქართველოს მთავრობას მასზე წარმოდგენა არ აქვს. ერთხელ იყო მხოლოდ, საზეპიროს ამბობდა ბიძინა ივანიშვილი და, ასე ვთქვათ, ერთი საათის განმავლობაში ვერ გაიხსენა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ, თურმე, ბარათაშვილი სცოდნია და საზეპიროს თქმა დააპირა მაინც. მთლიანობაში მინდა გითხრათ, რომ არც განათლების მინისტრი, არც კულტურის მინისტრი, არც პრემიერი მზად არ არიან ამ დღისთვის, რომელიც **"იუნესკომ"** აღიარა და განსაკუთრებულად აღსანიშნი თარიღების ნუსხაშიც შეიტანა. დრო ბევრი აქვთ, მოგეხსენებათ, წლის ბოლოს არის საიუბილეო დღე და თუ ოდნავ მაინც ვინმე გონს მოვა, ამ დიდ იუბილეს რამენაირად აღვნიშნავთ, მაგრამ... აგერ ვარ მე, აგერ ხართ თქვენ და წლის ბოლოსაც დაგელაპარაკებით....

მთავრობას უნდა დავუსვათ კითხვა, რას აპირება, რა გეგმა აქვს და რამდენი თეორის დახარჯვას აპირებს?

"ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში არც ერთი ნივთი მისი არ არის"

– მახსოვს, ჩვენს წლების წინანდელ ინტერვიუში ბარათაშვილს "ლირიკაში შექმნილი ქართველი ერის პასპორტიც" კი უწოდეთ.

– ჩვენ რომ ევროპელები ვართ, ამის ნიშანია ის პატარა წიგნი, რომელიც შეიცავს ბარათაშვილის შემოქმედებას. სამწუხაროდ, აქ სულ 40-მდე ნაწარმოებია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ბარათაშვილის ლექსები და განსაკუთრებით მისი პოემა **"ბედი ქართლისა"** გაცილებით მეტს ამბობს საქართველოზე, ვიდრე ათასი სხვა შემოქმედის ბევრი ძალიან კარგი, ბრწყინვალე ნაწარმოები. განუზომელია მისი ფასი, მნიშვნელობა. ნიკოლოზ ბარათაშვილი არის ყველაზე ევროპელი ქართველი პოეტი. ის არის გენიოსი, რომელმაც 19 წლის ასაკში დაწერა **"ფიქრნი მტკვრის პირას"**. ასეთი ფილოსოფიური ლირიკა ჩვენ კი არა, მთელ მსოფლიოს არ აქვს. სამწუხაროდ, ვინაიდან რთულია ეს პოეზია, ვინაიდან იგი ელიტურია, მასობრივად არ ესმით.

– თქვენ ერთხელ ისიც მითხარით, ევროპული არჩევანი ბარათაშვილის გარეშე არ არსებობსო...

– ასეცაა. ნიკოლოზ ბარათაშვილი არის გადამწყვეტი საქართველოსთვის. ეს ევროპული არჩევანი, სხვათა შორის, სულაც არ იყო უყოყმანო და ერთადერთი იმიტომ, რომ ნაწილი რუსეთისკენ იყურებოდა, ნაწილი – სპარსეთისკენ, ნაწილი – ოსმალეთისკენ. ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო კაცი, რომელიც ერეკლე მეორის პირდაპირი შთამომავალი გახლდათ, მაგრამ მოახერხა და თავის მეფეწინაპარს სოლომონ ლიონიძის პირით უთხრა, რომ მეფეს არ ჰქონდა არანაირი უფლება, გაეყიდა ჩვენი თავისუფლება.

საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ პოეზიაში ბარათაშვილის დონის მოაზროვნე არ მეგულება, რადგან ძალიან ძნელია, შეურწყა ერთმანეთს ფილოსოფია და პოეზია. როგორ მოახერხა ეს ამ ახალგაზრდა კაცმა, არავინ იცის. ეს დიდი საოცრება, დიდი საიდუმლოა. მაგრამ მას ბედი არ ჰქონდა: ჯერ იმიტომ, რომ უსამშობლოდ გარდაიცვალა და უცხო მიწაზე, საძმო სასაფლაოში ჩაასვენეს; მერე იყო და, გადმოასვენეს, მაგრამ ნეტავ, რამდენმა კი იცის, ვინ და როგორ გადმოასვენა საქართველოში! მერე, იქიდან გადმოსვენებული, მთაწმინდაზე ვერ აღმოჩნდა, რადგან ვერ **"დაიმსახურა"** და დიდუბეში დაკრძალეს; მერე, როგორც იქნა, დიდუბიდან გადავასვენეთ მთაწმინდაზე და, მიუხედავად ამისა, როდესაც ჩვენთან სატელევიზიო გადაცემა **"საქართველოს დიდ ათეულში"** გამოკითხვა მიმდინარეობდა, ქართველმა ხალხმა იგი 50 ქართველში ვერ მოახვედრა, რამდენიმე უნიჭო პოეტი კი შეიყვანა. ამიტომ ბარათაშვილი არის ჩვენი გამოცანაც, ბედისწერაც და უბედურებაც. მაგრამ არა უშავს – გენიოსი არსად დაიკარგება. კარგი კი იქნებოდა, რომ საქართველოს მთავრობას ოდესმე თავში შეეშვა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი საბიუჯეტო პოეტია, ანუ მისი იუბილისთვის ფული ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს. არადა, არ არის გამოყოფილი, გათვალისწინებულიც არ აქვთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის რამე გაკეთდეს. საიუბილეო პროგრამა კი ძალიან იოლია: თანხა უნდა გამოყოს სახელმწიფომ, მუზეუმი ხელახლა, სერიოზულად უნდა გაკეთდეს, ბარათაშვილზე უნდა მომზადდეს მასალა, უნდა შეიქმნას ფილმი, უნდა დაიდგას სპექტაკლები, უნდა გამოქვეყნდეს ყველაფერი, რაც კი გვაქვს მის შესახებ და ა.შ. იმიტომ, რომ ასეთი ადამიანები საუკუნეში ერთხელ იბადებიან.

– მახსოვს, შესანიშნავი იდეა გქონდათ – ამბობდით, "ბარათაშვილის მოყვარულთა კლუბი" უნდა დავაარსოთო...

– კი ბატონო, ჩვენს დონეზე ბარათაშვილს ყურადღება არ დააკლდება. წელს ვაპირებ, რამდენიმე საჯარო ლექცია წავიკითხო ნიკოლოზ ბარათაშვილზე, მაგრამ საჭირო არის, სახელმწიფოს ესმოდეს, ვინ ვინ არის.

როგორც მაშინ ვერ გაერკვნენ – XIX საუკუნეში, ასე არ ესმით ახლაც. ნიკოლოზ ბარათაშვილი, ფაქტობრივად, ერთადერთი ავტორია, რომელმაც XIX საუკუნეში ყველა კითხვას გასცა პასუხი, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედება კინაღამ დაიკარგა; მიუხედავად იმისა, რომ მის შემოქმედებას დიდხანს ყურადღებას არ აქცევდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ მან ლექსი – **"მერანი"** ბიძამისს, პოეტ გრიგოლ ორბელიანს წერილში მისწერა, ბიძამისი კი ამ ლექსით არ აღფრთოვანებულა და განგაშის ზარი არ შემოუკრავს, – არიქა, ასეთი ლექსი არ დაგვეკარგოსო! იმიტომ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის გაგებას გრიგოლ ორბელიანი და ასეთი პოეტები არ ჰყოფნის. ნიკოლოზ ბარათაშვილის გაგებას დასჭირდა ილია ჭავჭავაძის – ქართველი ხალხის მამისა და შემოქმედის გენია. მან დაინახა იგი; გადმოსვენებასაც თავად უხელმძღვანელა, გამოცემასაც; ბარათაშვილის განდიდებაც მანვე ითავა, სხვები კი მხოლოდ იმას მისტიროდნენ, რაც ბარათაშვილის შემოქმედებიდან ვერ გადარჩა (თითქოს რაც გადარჩა, საკმარისი არ იყოს!).

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ელის თავის მკითხველს. და ეს მკითხველი კიდევ დაიბადება XXI, XXII, XXIII საუკუნეებში, ხოლო იგი ყოველთვის იქნება ელიტური. მანამდე კი... ჩვენ მთელი წლის განმავლობაში შევეცდებით, რომ საქართველოს მთავრობას შევაგნებინოთ, ვინ ვინ არის ამ ქვეყანაში!

ირმა ხარშილაძე

"ზვიად გამსახურდიასთან ერთად, მეცხვარეების სუფრაზე დაახლოებით ოცდაათჯერ მოვილხინე"

თემურ ცაგურიასთან უნივერსიტეტიდან ვმეგობრობდი და როცა ვერონიკაზე დაქორწინდა, ქორწილში თამადის მოადგილეც გახლდით. კარგად ვსწავლობდით და არც სიმღერა გვეშლებოდა, მაგრამ თემური უკვე პროფესიონალი მომღერალი იყო და მას ცნობილ ბრიტანელ ბანს პიტ სიგერსაც კი ადარებდნენ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა ქალაქებში აღმოვჩნდით, მაგრამ როცა სამოცდაათიან წლებში თემური ენგურჰესის გაზეთის რედაქტორად დაინიშნა, მასთან ხშირად ჩავდიოდით ხოლმე. იმ დროს ენგურჰესის პარტიული კომიტეტის მდივანი ჩემი სიყმაწვილის მეგობარი ოთარ ჭითანავა გახლდათ და ვინც ჩვენ გვიცნობს, დაგვიჯერებს, რომ ყოველი ჩვენი შეხვედრა სოლიდური სუფრითა და ლამაზი სიმღერებით აღინიშნებოდა ხოლმე. ახლა თემური და ვერონიკა ამერიკაში არიან და როცა 1994 წელს გია მაისაშვილთან ერთად ამერიკაში ჩავედი, ვერასგზით ვერ მოვახერხე თემურისთან და ვერონიკასთან შეხვედრა. მოკლედ, წლების სიმძიმე თანდათან გვაწვება ბეჭებზე, ნუგეშად კი მხოლოდ მოგონებები გვრჩება. ამიტომაც გავიხარე უზომოდ, როცა სოციალურ ქსელებში ეს წერილი აღმოვაჩინე, რომელსაც უცვლელად ვთავაზობ მკითხველებს.

როლანდ ჯალაღანია

როგორ დაიწერა ლექსი და სიმღერა – "მივალ, მივყვები..."

"იმ პერიოდში ყიზლარში, გადასახლებაში იყო ზვიად გამსახურდია. მას ერთი კონცერტიც არ გამოუტოვებია. წავიდოდით მწყემსებთან, ვიქეიფებდით, მათ მივეფერებოდით და ვბრუნდებოდით უკან", – ამერიკაში მცხოვრები ცნობილი ქართველი მომღერალი, თემურ ცაგურია ქართული სუფრის ტრადიციებზე ჟურნალ **"გზასთან"** საუბრობს. გთავაზობთ ინტერვიუდან ამონარიდებს:

– ამერიკაში, როცა ქართული სუფრა გენატრებათ, ნოსტალგიას როგორ იქარვებთ?

– ბევრჯერ, აქაც ვყოფილვარ თამადად, მაგრამ უმეტესწილად, ამას თავს ვარიდებ. ვეღარ ვსვამ უწინდებურად. ქართველები ადრე უფრო ხშირად ვახერხებდით შეკრებას... მეც წყნარ ცხოვრებას ვამჯობინებ და ბოლო დროს უფრო მეტს ვცურავ, ვიდრე ვსვამ...

ერთხელ ამერიკაში ტრიო "საუნჯეს" წარმომადგენლები მეწვივნენ. მათთან ერთად რობერტ ბარძიმაშვილიც იყო და ძალიან სასიამოვნოდ მოვილხინეთ. ბარძიმაშვილს ძალიან დიდ პატივს ვცემდი, განსაკუთრებული ადამიანი იყო, ყოველთვის მახსენდება მისი მხარში დგომა.

– თქვენი სიმღერა – "მივალ, მივყვები, თეორი გზებით მე ჩემს ფარასა" – დღემდე ახსოვს დიდს თუ პატარას...

– ეს ჩემი სიმღერა არ გახლავთ! ლექსია ჩემია, სიმღერა მზია დიაკვნიშვილის, მაგრამ ვინც იმღერებს და პოპულარულს გახდის, მისი ჰგონიათ. მე ძალიან მიხარია, ამ სიმღერაზე რომ ამბობენ, ხალხურიაო. ე.ი. ხალხის გულიდან ამოსული ჰგონიათ, რაც ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდოა!.. მზიამ მაჩვენა მელოდია და მისი მელოდიის მიხედვით შევქმენი ლექსი. იმ პერიოდში გასტროლები მქონდა დაღესტანში, ყიზლარში მეცხვარეებთან... ფილარმონიიდან გვაგზავნიდნენ და მეცხვარეებთან ვმართავდით კონცერტებს, რომელიც ხშირად, ღია ცის ქვეშ იმართებოდა. იმ პერიოდში ყიზლარში, გადასახლებაში იმყოფებოდა ზვიად გამსახურდია. მას ჩვენი ერთი კონცერტიც კი არ გამოუტოვებია. წავიდოდით მწყემსებთან, ვიქეიფებდით, მათ მივეფერებოდით, ისინი გვეფერებოდნენ და ვბრუნდებოდით უკან. დაახლოებით 30 კონცერტზე წამომყვა და ამ ხნის განმავლობაში, ძალიან დავახლოვდით... ზვიადი სუფრაზე ძალიან მხიარული და ლაღი იყო, იუმორითა და სიყვარულით სავსე. იქ ხალხს სიგიჟემდე უყვარდა იგი. ზვიადი მათთვის იყო როგორც ლამპარი, ხატი... მუდამ მჭმუნვარეს ეტყობოდა დიდი გულისტკივილი და ამიტომაც, მასთან პოლიტიკაზე საუბარს ყოველთვის ვერიდებოდი.

– ზვიად გამსახურდიას თამადობა გახსოვთ?

– ყოველთვის თავს არიდებდა თამადობას და ამიტომაც სულ ადგილობრივი მწყემსები იყვნენ სუფრის წინამძღოლები. სხვათა შორის, მწყემსებივით კარგი მოსაუბრე ხალხი იშვიათად მინახავს. საოცრად ნიჭიერები, ლაღი და ლამაზი ხალხია. მეცხვარეებთან ყოფნა, ის სითბო და სიკეთე აისახა სიმღერაშიც **– "მივალ, მივყვები..."**

როლანდ ხოჯანაშვილი

ეროვნული და პატრიოტი ხელისუფლება სამშობლოს მომავალს ზნედაცემულ დასავლეთს არ დაუკავშირებს

გაზეთ „ილორს" ვულოცავ ახალ – 2017 წელს

ჩემი წერილის კვალდაკვალ – **„რუსეთის ფაქტორი – ტესტი პატრიოტიზმზე ლიბერასტებისათვის"** დამიკავშირდა პიროვნება, რომელმაც ვინაობა არ დაასახელა და მითხრა: **„მე ვიყავი СНГ-ს საქართველოს პატიმარი 2005-2007 წლებში"**. ამ ლოგიკით სააკაშვილის მანიაკალური მმართველობის სისტემა საქართველოს **დსთ**-ში გაწევრიანებასთან ყოფილა დაკავშირებული. მის მიერ განხორციელებული ვანდალიზმი და მკვლელობები – სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურა ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძის, გურამ შარაძის, როინ შავაძის, დათო ცინდელიანის და სხვა ათობით უდანაშაულო ადამიანის – **დსთ**-ს უკავშირდება? არცერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას ხელისუფლებაში მსგავსი მანიაკების კასტა არ ჰყოლია. საქართველო **დსთ**-დან 2009 წლის 12 აგვისტოს გავიდა. ამ დროისათვის ნაცები სრული ავტოკრატიის ფაზაში იყვნენ შესულნი და პატიმართა რაოდენობით საქართველო ევროპაში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო. სააკაშვილმა ნულოვანი ტოლერანტობა თავის სამოქმედო პროგრამად გამოაცხადა და 2003-2009 წლებში პინოჩეტისა და ფრანკოს რეჟიმის ანალოგიურად 69 კაცი დახვრიტა.

2009 წლის შემდეგ განხორციელებული მკვლელობები – გია კრიალაშვილის, ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის – 2011წ. 26 მაისს, ლაფანყურის სპეცოპერაცია – 2012წ. სექტემბერს; აფეთქების პროვოცირება ამერიკის საელჩოსთან – რომელ გაერთიანებას უკავშირდება? 2003 წლიდან ამერიკამ დაიწყო **„ფერადი რევოლუციების"** განხორციელება სხვადასხვა ქვეყნებში. სააკაშვილი იყო და არის შევარდნაძის გზის გამგრძელებელი ამერიკული პროექტი, რომლის შესახებ 2006წ. ევროპის 7 ავტორიტეტული კლინიკის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნაში წერია: **„ძლიერი პარანოიდალური აშლილობა, ისტერიულობა და ნარცისიზმის კომპლექსი"**. ქართველმა ფსიქიატრმა უფრო მარტივი დიაგნოზი დასვა: **„მანიაკალური, დეპრესიული სინდრომი"**. მსგავს არსებებს სპეციალურად არჩევენ ამერიკელები ამა თუ იმ ქვეყნის დასანგრევად და სააკაშვილის მსგავსი კრიმინალების ლობირებით ცდილობენ თავისი ინტერესები გაატარონ საქართველოსა თუ უკრაინაში.

პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო და უკრაინა აღმოჩნდა ყველაზე სუსტი რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელსაც თავის დროზე სტალინი აწრთობდა. ამ ქვეყნებმა მისცეს საშუალება უცხოეთის სპეცსამსახურებს თავიანთი დამანგრეველი საქმიანობა ეწარმოებინათ ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ. რუსეთმოძულეებო! თუ ქვეყანა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება, ლიბერასტების მითითებით იხელმძღვანელეთ, ჩანგლებითა და კოვზებით დაიცავით თავი და საჯიშე ბიჭები მტრის ინტერესებს საზარბაზნე ხორცად შეწირეთ. შევარდნაძე ცეერუს (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო) აგენტი იყო, ასევე სააკაშვილიც. ი. ალასანიასაც ცეერუს სკოლა აქვს დამთავრებული.

სააკაშვილის მმართველობის ხანა დასრულდა. დავიწყეთ ოცნება, რაც დღემდე გრძელდება, ხოლო ახალი სახეების სახით ბიუჯეტს ახალი მღრღნელები შეემატა. მოდით, გულახდილად ვთქვათ: თუ მხოლოდ ვოცნებობთ, თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის ეპოქის – დარუბანდიდან ნიკოფსიამდე გადაჭიმულ, დამოუკიდებელ და ძლიერ საქართველოზე ვიოცნებოთ, თორემ უცხო ქვეყნისა და ლიბერასტ-პედერასტების უფლებებზე მოღავღავე ივანიშვილის საქართველო რა საოცნებოა? დეპუტატმა ი. გოგიჩაიშვილმა საზოგადოებასთან შეხვედრისას განაცხადა: **„ყველაფერი შედარებითია და ჩვენ ვართ პროგრესული ძალა"**. ხელისუფლება, რომელიც თვლის, რომ პროგრესია თუ არ გვკლავენ და გვაუპატიურებენ – ეს უკვე ფსიქიატრის კომპეტენციაა. ერთადერთი, რაც შეასრულეს – გადაარჩინეს ნაცები და დემოკრატია. საზოგადოების უმრავლესობამ, რომელიც ქვეყნის დასავლური ვექტორის მომხრე არ იყო, ხმა მაინც ქართულ ოცნებას მისცა. ვეკითხები მათ: ვისგან ელით დაანონსებულ კეთილდღეობას და პროგრესს – მდიდარ სექსზე მეოცნებე სოროსელი პრეზიდენტისაგან და ისტორიის არმცოდნე, დასავლეთში დატრენინგებული პრემიერისაგან, რომელსაც მკერდში გული ქართულად არ უძგერს? ჩვენთვის ხომ ცნობილია, რომ ევროკავშირს საქართველო თავისი პროექტების განსახორციელებლად და პროდუქციის გასასაღებლად სჭირდება, როგორიცაა, მაგალითად, ბუსუსიანი პრეზერვატივების თემა. ეს საკითხი ხელისუფლებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ამიტომ კანონპროექტიც შეიქმნა, რაც ევროინტეგრაციის საკითხში წინგადადგმულ ნაბიჯად მოიაზრება. ხელისუფლება, ოპოზიცია და არასამთავრობები უცხო ქვეყნის ინტერესებს ემსახურებიან სამშობლოს ინტერესების საწინააღმდეგოდ.

„ეს საქართველო მძულს, სიამოვნებით გავიქცოდი აქედან" – ამბობს ქალბატონი, რომელსაც, მისი თქმით, სააკაშვილის მმართველობისას ყველაფერი წაართვეს. მას ახალმა ხელისუფლებამ არ უთანაგრძნო და ჭრილობები ვერ მოუშუშა, მაგრამ უნდა გავმიჯნოთ – საქართველო უნდა გვძულდეს თუ მმართველი სისტემა? ჩვენი დედასამშობლოც ხომ მსხვერპლია მახინჯი სისტემისა – კალთებშემოგლეჯილი და სისხლდაწრეტილი, ღირსებაშელახული და გაუპატიურებული, უძღები და უმადური შვილებისაგან თანაგრძნობამოკლებული, რომელიც მხოლოდ სიყვარულს ელის ჩვენგან? უმალ მომაგონდა სტუდენტობის პერიოდში ენის უკეთ შესასწავლად სტუდენტური მისიით აღმოსავლეთში წასული თანაკურსელი, რომელიც სამშობლოდან მოშორებული მძიმე ნოსტალგიით შეპყრობილი სასწრაფოდ დააბრუნეს საქართველოში. ნოსტალგია ხომ იმ ადამიანების სენია, ვისთვისაც **„როგორც უფალი სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა"?** დღეს, ეროვნული იდეოლოგიის არარსებობის პირობებში ახალგაზრდების გადინება უწყვეტ ნაკადად ხდება საქართველოდან. დღეს ნოსტალგია აღარავის აწუხებს, რადგან ეროვნული სული არ ტრიალებს ქვეყანაში, **„სამშობლოს განცდა განსაკვირველი"**, დედის რძესთან ერთად რომ ჰქონდა შესისხლხორცებული ქართველს – გაუცხოვდა.

ძნელია გულგრილად უსმინო იმ გორელი გლეხის გულისტკივილს, რომელსაც სოფელი იძულებით დაუტოვებია და თავი რომ გადაირჩინოს ხელოსნობა დაუწყია ქალაქში, მაგრამ იმ ნაშრომ-ნაამაგარ ტონობით ვაშლზე ფიქრი არ ასვენებს, რომელიც ულპება და რუსეთისაკენ გზა ვერ მოუნახავს. დიახ, დედამიწის 1/6-ზე გადაჭიმული სახელმწიფო იმ ადამიანებისთვის იყო და არის მისაღები, რომელთათვისაც **„სამშობლო"** ცარიელი სიტყვები არ არის. ხელისუფლებას ხალხისთვის ჯერ არ სცალია, რადგან ღორების იდენტიფიკაციით არის დაკავებული, რაშიც მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება. ეს ხდება იმ ფონზე, როცა სახელისუფლებო ხარჯები მილიარდით არის გაზრდილი, ხოლო 1.600.000 ადამიანი შემწეობას ითხოვს. ამასთანავე, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების თანახმად, აღმოსავლეთიდან ახალი ლტოლვილების მიღების ვალდებულებაც აიღეს და უცხოელებზე მიწების გაყიდვაც განაახლეს. გვინდა ასეთი ევროკავშირი, რომელიც უცხო ჯიშსა და ჯილაგს მოგვიმრავლებს საქართველოში და ქართველებს ქვეყანას დაატოვებინებს?

„ქართული მიწები არ უნდა გაიყიდოს უცხოელებზე, ის ქართველ გლეხებს უნდა ეკუთვნოდეთ" – ბრძანებს **„პატრიოტი"** ბ-ნი თარხან-მოურავი. სრულიად ვეთანხმები ამ პატრიოტულ განცხადებას, მაგრამ ჩნდება კითხვები: ბ-ნ **„პატრიოტს"** კარგად მოეხსენება, რომ დასავლეთმა ბალტიისპირეთის ქვეყნებისაგან გამარტივებული წესით მიწების უცხოელებზე გაყიდვა მოითხოვა და იგივეს ითხოვს საქართველოსგან. როცა თავად დასავლეთისკენ უკანმოუხედავად ისწრაფვი, მათთან უკეთეს პარტნიორობას, ანუ მათი დირექტივების უკეთ შესრულებას აანონსებ და ამ დირექტივების შესრულების გამო ხელისუფლებას აკრიტიკებ – ამას გონივრული ახსნა არ მოეძებნება. დასავლეთისკენ სწრაფვა – შევარდნაძე-სააკაშვილის გზის გაგრძელებაა, რაც 25 წელია ანგრევს საქართველოს და ასუქებს ხელისუფლების წარმომადგენლებს. ჭეშმარიტმა პატრიოტმა ქვეყნის ინეტრესების საწინააღმდეგო ვექტორზე უარი უნდა თქვას! – **„ჩვენ ქვეყნის საწინააღმდეგო კურსს** (წაიკითხე – რუსეთს) **ვუჭერთ მხარს? თქვენ გინდათ ევროპული ფასეულობები თქვენი შვილებისათვის და მე არ მინდა?"** – მიმართა პარლამენტს ერთ-ერთი გამოსვლისას ი. ინაშვილმა, რომელიც მუდმივად თავდაცვის რეჟიმშია, რომ რუსეთუმეობა არ დააბრალონ. 25 წლის მანძილზე გავანადგურეთ ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის მეურნეობა, ხალხს ლუკმა-პური წავართვით, ტერიტორიები დავკარგეთ, დემოგრაფიული ფონი შეიცვალა და მოსახლეობა 2 მილიონით შემცირდა. ამერიკის უბინძურესი პოლიტიკის გამხმოვანებლის ფუნქცია მოირგო ხელისუფლებამ, ოპოზიციამ და მედიამ, ხოლო თავად ამ პოლიტიკამ მთელი მსოფლიო ჩიხში შეიყვანა და ამერიკის წინააღმდეგ განაწყო, ვიცნობდეთ **„მეგობარს"**, – ეს ის ქვეყანაა, რომელიც ბოლო 55 წლის მანძილზე 100-ჯერ მაინც ჩაერია უცხო ქვეყნების საშინაო საქმეებში. **„არაბული გაზაფხულები"**: 2003წ. 20 მარტი – ომი ერაყში; 2011წ. 19 მარტი – ომი ლიბიაში; ამავე წელს შეიჭრა ეგვიპტესა და ტუნისში. ამ ომებმა მილიონობით მშვიდობიანი მოქალაქე შეიწირა და ლტოლვილად აქცია. როცა ხელისუფლება თუ ოპოზიცია რეალობაზე თვალს ხუჭავს, ეს არა პოლიტიკური სიბეცე, არამედ ქვეყნის შეგნებული მტრობაა. **"არავის ვურჩევ ქართველი ხალხის ერთვნულ გრძნობებზე თამაშს! – ხალხის ხმა პარლამენტამდე უნდა აღწევდეს"** – ბრძანებს ვიცე-სპიკერი ი. ინაშვილი. მსგავსი განცხადებები მხოლოდ ხალხის გულის მოსაგებად არ უნდა კეთდებოდეს. ეს ხმა თავად ამ პარტიის წევრებამდე ვედარ აღწევს მას შემდეგ, რაც პარლამენტის წევრები გახდნენ. არაერთი მიმართვის მიუხედავად არ აღადგინეს ვ. კვარაცხელიას საავტორო გადაცემა. ვინმეს მოსწონს თუ არა ბ-ნი ვალერი პიროვნულად, სხვა საკითხია, მაგრამ განსხვავებული იდეოლოგია, რომელსაც ბ-ნი ვალერი ახმოვანებდა, უნდა ისმოდეს დემოკრატიული ტელეეთერიდან: **„ჩვენ მას სტუმრის სტატუსით ვიწვევთ"** – განაცხადა ბ. მძინარაშვილმა. ამ სტატუსითაც ვიხილეთ ბ-ნი კვარაცხელია, მაგრამ ბ-ნი **„მძინარა"** საუბარს არ აცდიდა, ცდილობდა თავისი ლიბერალური ხედვის უპირატესობა წარმოეჩინა მაყურებელთან დასავლეთისკენ თავქუდმოგლეჯილი სირბილით დაღლილი პარტიის თანამოაზრეს, მაგრამ ამას ვერ ეღირსებიან. **„ბოროტი ხმები"** იმასაც ამბობენ, რომ ყველა პარტიის წარმომადგენლები რუსეთში დარბოდნენ დაფინანსების მისაღებად, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტმა არ ისურვა ნაყიდი თანადგომა (ეს იდეოლოგიურად უნდა ხდებოდეს) და განაცხადა: თუ ვინმე თავს იხრჩობს, მას ვერ ვუშველითო. ი. ინაშვილს არ შეიძლება არ დავუფასოთ ციხის კადრების გამომზეურება და სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა. ამავე ლოგიკით, რატომ არ უნდა დავუფასო რუსეთს საქართველოსთვის თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნება, უფასო განათლება და ჯანდაცვა, ეკონომიკის განვითარება და ყველა დარგის რენესანსი? რატომ არ უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ თუ დღეს ქართველი გვქვია – ეს არა რომელიმე პოზიციაოპოზიციის, არამედ რუსეთის დამსახურებაა?! ვიმედოვნებ, რომ **„პატრიოტების"** ბრძოლა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ მხოლოდ მათ ჩანაცვლებას არ ისახავდა მიზნად, თუმცა, შევარდნაძე-სააკაშვილის გზით სიარული ქვეყნისთვის წარმატებული ვერასოდეს იქნება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დ. ტრამპის ინაუგურაციის შემდგომ ამერიკა პოლიტიკას შეცვლის და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში აღარ ჩაერევა. საინტერესოა, როგორ მოიქცევა ხელისუფლება და ოპოზიცია, თავიანთ ერთ უხერხულ **„ავტორიტეტს"** თურქეთისკენ ხომ არ მიმართავენ? საქართველო ევროპა-ამერიკის ბორდელიდან უნდა განთავისუფლდეს და ეს ქართველმა ხალხმა უნდა გააკეთოს! ნეოლიბერალებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ და საკუთარ შხამში ამოიგუდებიან. ამას წინათ, კანიბალების კასტის ერთმა წარმომადგენელმა – ედუარდ ლუკასმა ასეთი განცხადება გააკეთა: **„ჩვენ უფრო მკაცრები უნდა ვიყოთ რუსეთის მიმართ და მათი ცხოვრება ჯოჯოხეთად ვაქციოთ.**

„ქართული მიწები არ უნდა გაიყიდოს უცხოელებზე, ის ქართველ გლეხებს უნდა ეკუთვნოდეთ – ბრძანებს „პატრიოტი" ბ-ნი თარხან-მოურავი. სრულიად ვეთანხმები ამ პატრიოტულ განცხადებას, მაგრამ ჩნდება კითხვები: ბ-ნ „პატრიოტს" კარგად მოეხსენება, რომ დასავლეთმა ბალტიისპირეთის ქვეყნებისაგან გამარტივებული წესით მიწების უცხოელებზე გაყიდვა მოითხოვა.

ჩვენ შეგვიძლია ბევრად მეტი ზეწოლა მოვახდინოთ მათზე და ვერაფერი შეგვაჩერებს გარდა ჩვენივე თავისა" (ე. ლუკასი აქცენტს აკეთებდა იმ მადალჩინოსნებზე, რომელთაც ფინანსები დასავლეთში აქვთ).

ამერიკის მოქმედი ხელისუფლება პირდაპირ საქმეზე გადავიდა და მსოფლიომ იხილა ამერიკის გეიპრეზიდენტის – ობამას გზავნილი რუსეთისადმი ახალი სანქციების დაწესების და ამერიკაში რუსი დიპლომატების უფლებამოსილების შეჩერების შესახებ. გველგესლამ შხამიანი კუდი მოიქნია (ვიმედოვნებ უკანასკნელად), რითაც ამერიკული ე.წ. დემოკრატია მიწასთან გაასწორა. მსოფლიომ ისიც იხილა, როგორი დიპლომატიური თავშეკავება გამოიჩინა რუსეთის პრეზიდენტმა და ანალოგიური ქმედებით არ უპასუხა, რაც მის რეიტინგზე კიდევ უფრო დადებითად აისახა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: რუსეთი დემოტრაკიულ დასავლეთში არავის შეეშალოს!!!

იზა თამაზაშვილი
ტელ. 2 35 91 15; 593 90 55 07

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

რევაზ ჩელებაძე: „ერევანში მომხდარი კურიოზის გამო დღემდე მაშაყირებენ“

ცნობილ ქართველ ფეხბურთელ რევაზ ჩელებაძეს თბილისის „დინამოს“ ისტორიასა და წარმატებულ ასპარეზობაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. ჩელებაძე-შენგელიას მრისხანე დუეტი მეტოქე გუნდების მცველებისთვის მუდმივ თავსატეხს წარმოადგენდა. გოლის გატანის განსაკუთრებული ნიჭის გარდა რევაზ ჩელებაძე თერთმეტმეტრიანი საჯარიმოების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი შესრულების მანერითაც გახლდათ დაჯილდოებული.

არაერთი წარმატების მიუხედავად ქართველ გულშემატკივრებს ჩელებაძე მაინც ერევნის „რაზდანის“ სტადიონზე გამოჩენილი „გმირობისთვის“ დაამახსოვრდა, როდესაც ცარიელ კარში ბურთი ვერ გაიტანა და ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ქარს გააყოლა. რას იზამ, ფეხბურთი სპორტია და ზოგჯერ ბედის ფორტუნა ზურგს გაქცევს. ასე მოხდა იმ „ისტორიულ“ საღამოსაც. ეს ეპიზოდი ჩელებაძის სპორტულ კარიერას „სალაღობო მოსაგონარად“ მუდამ თან სდევდა.

რევაზ ჩელებაძე დღეს ჩვენი სტუმარია და მკითხველებისთვის საკუთარ საფეხბურთო ბიოგრაფიას თავადვე გაიხსენებს.

“სკოლას რომ ვამთავრებდი, ფეხბურთში სწორედ მაშინ მოვხვდი. მანამდე კალათბურთში ვვარჯიშობდი და არცთუ წარუმატებლად. ფიზკულტურის ინსტიტუტში მისაღები გამოცდებისთვის ვემზადებოდი და ამ დროს ბიძაჩემმა, ბიჭიკო ჩელებაძემ მთხოვა სოფლის საფეხბურთო გუნდს დავხმარებოდი. იმ დროს იყო ასეთი პოპულარული ტურნირი – „ოქროს თავთავი“, რომელიც სოფლის გუნდებს შორის ტარდებოდა. ჰოდა, ჩემი დებიუტი ფეხბურთში სწორედ ამ შეჯიბრებაზე შედგა. სხვათა შორის, იმ დროს აჭარის კალათბურთელთა ნაკრების წევრი ვიყავი!

„საფეხბურთო დებიუტი“ წარმატებული გამოდგა: ფინალამდე თითქმის ყველა მატჩში 4-5 გოლი გამქონდა, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში 0:2-ზე პენალტი ვერ გავიტანე, ჩემი გუნდი კი სოფელ ოჩხამურის კლუბთან დამარცხდა. სხვათა შორის, მეკარე, რომელმაც 11-მეტრიანი მოიგერია, უბნის ინსპექტორი იყო და პირადად ვიცნობდი.

ბიძაჩემი ფეხბურთზე გიჟდებოდა, ფულიანი კაცი იყო და ერთ მშვენიერ დღეს მითხრა: შენ თუ ფეხბურთს გაჰყვები, სამედიცინოს გარდა ყველგან მოგაწყობ, ოღონდ უნდა დამპირდე, რომ 3 წელიწადში თბილისის „დინამოში“ მოხვდები, ერთი წლის შემდეგ კი საკავშირო ნაკრებშიო. რატომ უნდა მეთქვა უარი?! ისე აგიხდინოთ ღმერთმა ყველაფერი, როგორც მას ავუსრულე სურვილი: ფეხბურთში ვარჯიშიდან ზუსტად სამი წლის თავზე, 1976 წელს თბილისის „დინამოში“ მოვხვდი, ერთი წლის შემდეგ კი სსრკ ნაკრებშიც მიმიწვიეს!

„დინამომდე“ ქობულეთის „შუქურაში“ ვიყავი, მაგრამ სანამ გუნდს დავით ჭავჭანიძე წვრთნიდა, ძირითად შემადგენლობაში ვერაფრით დავმკვიდრდი. ჭავჭანიძე მეუბნებოდა, შენგან ფეხბურთელი მაინც არ გამოვა და რატომ წვალობო? იხტიბარს არ ვიტეხდი. როგორც კი ჭავჭანიძე ვალერიან ჩხარტიშვილმა შეცვალა, სიტუაცია ჩემდა სასიკეთოდ შეიცვალა: ჯერ შეცვლაზე დავიწყე თამაში, მალე კი ძირითადის წევრი გავხდი. ლამის ყველა მატჩში გოლი გამქონდა, მაგრამ სამ იმდენს – ვაფუჭებდი!

მალე საქართველოს ნაკრებში მიმიწვიეს, იმ გუნდში კი დათო მუჯირი, თამაზ კოსტავა, რეზო ბურკაძე და სხვა ნიჭიერი ბიჭები დამხვდნენ. იყო ასეთი საკავშირო ტურნირი – **„იმედის თასი“**. არ გადავაჭარბებ: ძალიან მაღალი დონის შეჯიბრება იყო, ფაქტიურად, 16-წლამდელთა შორის საკავშირო ჩემპიონატი. ჰოდა, ჩვენ იმ ტურნირზე ჩემპიონები გავხდით! ცოტა ხანში ვალერიან ჩხარტიშვილი ბათუმის **„დინამოში“** მიიწვიეს და მეც თან წამიყვანა.

ბათუმში სულ სხვა სიტუაცია დამხვდა. რაც უნდა იყოს, გუნდში საკავშირო მეორე ლიგაში თამაშობდა, მეტოქეები კი ათი თავით ძლიერები იყვნენ, ვიდრე **„შუქურას“** შემთხვევაში. არ შემშინებია, უფრო მოვინდომე და დამიფასდა კიდეც – ცოტა ხანში ჩემი თავი თბილისის **„დინამოს“** გუნდის უფროსს, ნოდარ ახალკაცს წარუდგინეს. იმ დროს ის ახალი დანიშნული იყო მთავარ მწვრთნელად...

„ფარსადანოვიჩს“ ისედაც არ უყვარდა ბევრი ლაპარაკი, ჩვენი პირველი შეხვედრისას კი მითხრა, ორმხრივ მატჩში დაგაკვირდები და ვნახოთ, იქნებ შანსი გამოიყენოო. ეტყობა მოვეწონე, რადგან **„დინამოში“** მიმიწვია. უნდა გენახათ, რა დღეში იყო ბიძაჩემი! ჯერ ხომ ზღაპრულ სუფრას სუფრაზე შლიდა, მაგრამ ყველაზე მეტად ის მიხაროდა, რომ ჯიბეზე ხელის გაკვრა და ფულის ჩუქება არ ეზარებოდა! მოკლედ, მეცხრე ცაზე იყო კაცი!

„დინამოში“ ჩემი სადებიუტო სეზონი ზღაპრული გამოდგა: ორჯერ საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე, შუაში კი საკავშირო თასიც მოვიგე! ეს იყო **„დინამოს“** პირველი ტრიუმფი ამ ტურნირში. ფინალში ერევნის **„არარატს“** ერთი გოლი მეც გავუტანე! დღემდე თვალზე ცრემლი მადგება იმ თამაშს რომ ვიხსენებ!

ერევანში მომხდარი კურიოზის გამო დღემდე მაშაყირებენ და ასე გაგრძელდება, სანამ ცოცხალი ვიქნები. რა ვქნა, მოხდა და! ძალიან დაძაბული მატჩი იყო, უცბად ბურთი მე მომივიდა, ავდექი და თავქუდმოგლეჯილი გავექანე კარისკენ. მივიხედე უკან, ერთი მცველი მორბის, მაგრამ შანსი არაა დამეწიოს. ვირბინე, ვირბინე და თავი რომ ავწიე, სადაა შენი კარი, ლამის მოედანს არ გავცდი?! საშინელ დღეში ჩავვარდი! მატჩის შემდეგ ავტობუსში რომ ავედი, მშრალი საჭმელი, ეგრეთ წოდებული **„სუხოი პაიოკი“** დაგვირიგეს. ანზორ გაბიტაშვილს ერთი ძეხვი დარჩა, **„დოქტორსკი“** და ახალკაცს ჰკითხა, **„ფარსადანოვიჩ“**, რა ვუყოთ ამ ძეხვსო. ნოდარიმ არც გახედა, ცალყბად ჩაილაპარაკა, წადი და ჩელებაძეს ერთ ადგილას გაუკეთეო...

„ჰრაზდანზე“ მომხდარი მეორე დღეს მთელმა თბილისმა იცოდა! ძალიან **„პოპულარული“** გავხდი, ყველა ჩემზე შაყირობდა, მაგრამ გულში წყენა არ ჩამიდია, ან რა იყო საწყენი? გულშემატკივრებს რომ არ ვყვარებოდი, მთელი სტადიონი **„ჩელე, ჩელეს“** კი არ იყვირებდა. იმ ამბიდან კაი ხნის მერე ქუთაისში ჭიათურის **„მაღაროელს“** 35 მეტრიდან თავით გავუტანე გოლი. მთელი სტადიონი მე მაგინებდა, ჩელებაძე შენი ასე და ისე, ერევანში ცარიელ კარში ვერ შეაგდე ბურთი და აქ რამ გადაგრიაო!

ჩემსა და რამაზ შენგელიას შორის კონკურენციაზე ლეგენდები დადის და მართლა ასე იყო, ახალკაცი ორივეს ბოლომდე გვწურავდა. მატჩიდან მატჩამდე გვიწევდა მწვრთნელისთვის იმის მტკიცება, რომ ძირითადის ღირსები ვიყავით. ახალკაცს თავი დავანებოთ, თვითონ შენგელიამ არ თქვა, ჩელებაძესთან კონკურენციამ ჩემს წარმატებებში ლომის წილი დაიდოო. რამაზი ძალიან ძლიერი ფეხბურთელი იყო, ნიჭიერი, აბა, ლამაზი თვალებისთვის ორჯერ არავინ დაასახელებდა საბჭოთა კავშირის პირველ მოთამაშედ! მას საოცარი საგოლე ალღო ჰქონდა!

ჩემს პენალტზე რა უნდა ვთქვა? განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებდი: ბურთამდე მხოლოდ მეკარეს ვუყურებდი, მერე კი კუთხეს ვირჩევდი და ნელა ვურტყამდი. გულშემატკივრებს ძალიან უყვარდათ ჩემი პენალტები! სხვათა შორის, დაოსტატებაში ჩვენი მეკარე დათო გოგია დამეხმარა – ვარჯიშების მერე 50-ჯერ მაინც ვიმეორებდი დარტყმას.

თუ არ მეშლება, სულ ოთხი პენალტი გავაფუჭე, აქედან ორჯერ მოსკოვის ცსკას მეკარე ასტაპოვსკიმ გამამწარა. ცსკასთან ორივე შემთხვევაში თავდაჯერებულობამ დამღუპა – არცთუ ძლიერად დავარტყი და ასტაპოვსკიმ რეაგირება მოასწრო. რაც შეეხება კუიბიშეველებთან ვერგატანილ ბურთს, იქ მეკარეს წყლის გუბე დაეხმარა – გაგორებული ბურთი წყალში ჩაეფლო. ხომ გახსოვთ მაშინდელი სტადიონები? საშინელება იყო!

სანტიაგო გაუჩო,

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ახალი წელი ნამდვილად ჩამიმწარდა... თითქოს საკმარისი არ ყოფილიყო ბატონ მამანტი ძაძამიას გარდაცვალება... 78 წლის ასაკში აღესრულა ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი და ცნობილი მწერალი, ბატონი ანზორ გვარამია...

აი ასე... ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ საწუთრო-სააქაოს ჩემთვის ძვირფასი ადამიანები...

დასანანია, რომ ანზორ გვარამიას უკვე ვეღარ ვიხილავ სოხუმის ქუჩებში, სოხუმის სანაპიროზე მოსეირნეს... ვწუხვარ, რომ ბოლო რამდენიმე წელია რაც მე ის არ მინახია... გარკვეულ მიზეზთა გამო შეგნებულად ვარიდებდი თავს მასთან შეხვედრას, არადა, რამოდენიმეჯერ შემომითვალა, რომ ჩემი ნახვა სურდა... მეტირება... ეს ოხერი ცრემლებიც მახრჩობს... უფალმა გაანათლოს შენი სული, ჩემო ანზორ...

ღორონთქ განათას სქანი შური, ჩქიმი ანზორი...

ზურაბ კვარაცხელია

ჩვენს მეგობარსა და თანამებრძოლს, დიდებულ მეცნიერსა და გულმართალ კოლხ კაცს, ბატონ

კუკური ფიფიას

გულითადად ვულოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს!

ვუსურვებთ შესაფერ ჯანმრთელობას, წარმატებებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომელიც უანგაროდ ემსახურება კოლხური (მეგრული) ენის აღორძინებისა და სათანადოდ დაფასების საქმეს!

პატივისცემითა და ძმური სიყვარულით:

ზაურ გახარია, ტარიელ გაგნიძე, ზურაბ კვარაცხელია, ვიქტორ ცაავა, როლანდ ჯალაღანია

გამოვიდა ჟურნალ „აია“-ს მომდევნო ნომერი (№20), რომლის მთავარი რედაქტორია ბატონი გიორგი სიჯინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ თბილისში, ტაშკენტის ქუჩა №25-ში, I სადარბაზო, ბინა 1.

ტელ. 2-38-03-11

ჟურნალის შეძენა ასევე შეგიძლიათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“-ს წარმომადგენლობაში, ზუგდიდში.

ჟურნალის ფასია 4 ლარი.

გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.

დიმენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვლის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატებია: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 “ილორი”

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge